ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 10 (1448) | 6-13 აპრილი, 1996 წ.

ალიაქოთი საქართველოს ალმასრულებელ ხელისუფლებაში

ფოთის გემთსაშენ ქარხნის მიერ 4 თბომავალი „კოლხიდა“ წაღებული იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქ.ჰიუსტონში (თბომავლები იმ პერიოდისათვის ეკუთვნოდა ე/ს „ინმეტს“) იმ მიზნით, რომ მათი ექსპლუატაცია მოეხდინა კომპანია „სიგინგს“, რომელიც შექმნილი იყო საბჭოთა კავშირ-შვეიცარიის ერთობლივი საწარმო „ინმეტისა“ და საბჭო კავშირ-ამერიკის ფირმა „რიაზან-ამერიკა“-ს მიერ. ხსენებულ კომპანიაში ქარხნის წილი გათვალისწინებული იყო 15%-ის ოდენობით. ე/ს „ინმეტის“ მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო აღნიშნულმა კომპანიამ ფუნქციონირება ვერ შეძლო და ფოთის გემთსაშენ ქარხანას საკუთარი გემების გამოსასყიდად მოუხდა 600 ათასი აშშ დოლარის გადახდა. საავალუტო სახსრების უქონლობის გამო ქარხანა იძულებული გახდა გაეყიდა ორი თბომავალი, ხოლო ორი დარჩენილი თბომავლის ექსპლუატაციაზე ხელშეკრულება გაფორმებული იქნა ფოთის ქარხანასა და ამერიკულ კომპანია „ჰაიდროფოილ-ჰოლდინგს“ შორის, მაგრამ ამ გარიგებიდან ქარხანამ მხოლოდ ზარალი განიცადა კომპანიის მიზეზით, საკუთარი გემების გამოსყიდვა (გამოხსნა) კი ისევ ქარხანას მოუწია. შემდგომში, 1993 წლის სექტემბერში ეს გემები გაყიდული იქნა არაბთა გაერთიანებული საემიროების კომპანია „დელმა კოოპერატივ სოუშეტზე“ 2420,0 ათას აშშ დოლარად, საიდანაც 120 ათასი დოლარი ჩარიცხული იქნა ლუქსემბურგის ბანკში. 500,0 ათასი დოლარი გადაერიცხა ასევე უცნობ კომპანიას „დელსი ჰოლდინგს“, ხოლო დარჩენილი 1800,0 ათასი აშშ დოლარი ჩაერიცხა ფოთის გემთსაშენი ქარხნის ინიციატივით ქ.ჰიუსტონში 1992 წლის ოქტომბერში შექმნილ კორპორაცია „ფოთი შიპიარდ იუ-ეს-ეი“-ს, რომელსაც თითქოსდა უნდა დაეცვა ქარხნის ინტერესები თბომავლების ექსპლუატაციასთან დაკავშირებით. ასევე ლუქსემბურგის ბანკში იმავე ანგარიშზე ჩარიცხულია თანხა 1420000 აშშ დოლარი თ/მ ს-138-ს ღირებულება (რომელიც ჩარიცხა საბერძნეთის ფირმა „სერეს“-მა და თბომავლები მიეყიდა მასვე).

შემოწმებათა შედეგად დადგინდა, რომ სრული განუკითხაობაა მეორეული ლითონის ჯართის რესპუბლიკის სამეურნეო ბრუნვაში მოქცევისა და მისი რესპუბლიკის ეკონომიკის სასარგებლოდ გამოყენების საქმეში. რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 24 აგვისტოს №712 გ განკარგულებით შექმნილი სამთავრობო კომისიის მიერ, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდა რესპუბლიკის კონტროლის პალატა, დადგენილი იქნა, რომ სხვადასხვა სტრუქტურების მიერ კანონსაწინააღმდეგო გზებით შეძენილი და საზღვარგარეთ გადატანის მიზნით რკინიგზის სხვადასხვა სადგურებში და პორტებში შეტანილი იქნა ჯართით დატვირთული 363 ვაგონი. ნაცვლად იმისა, რომ აღნიშნული მეორადი ლითონის ჯართი რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ჩაბარებულიყო, ჯართი გატანილი იქნა საზღვარგარეთ, რასაც თავის მხრივ ხელი შეუწყო მინისტრთა კაბინეტის ურთიერთგამომრიცხავმა 1994 წლის 6 სექტემბრის №635 და №636 დადგენილებებმა, რომელთა საფუძველზე გამონაკლისის სახით სახელმწიფო ფირმა „თბილისს“ და შ.პ.ს ფირმა „მედიკოსს“ ნება დაერთოთ საზღვარგარეთ რეექსპორტის წესით გაეტანათ 56190 ტონა ლითონის ჯართი, მაშინ, როცა აღნიშნულ

გაგრძელება მე-2 გვ.

ჰომოსექსუალისტები ყველა ქვეყნისა ერთდებიან ვაგზლის მოედანზე

ეს ის საჩოთირო თემა გახლავთ, რომელზეც წერას სერიოზული კალმოსნები გაურბიან. იმავდროულად ყვითელი პრესა გადაჭრელებულია ნაირ-ნაირი პათოლოგიური თუ არაპათოლოგიური სექსუალური ცხოვრების აღწერებით, პროპაგანდით და დასურათხატებით...

სერიოზული ადამიანები მართალია საჯაროდ წერას გაურბიან იმ საშინელებებზე, რომელნიც დედაქალაქისათვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, მაგრამ სამაგიეროდ კომპენსაცია ხდება კულუარულ საუბრებში...

ადრე ქალაქში იმაზე ჭორაობდნენ, რომელ ყმაწვილს რომელი ქალიშვილი უყვარდა, ვინ ვის შერთვას აპირებდა, ვის ვინ შეუცდენია და ა.შ. ერთი სიტყვით, ადამიანთა პირადი ურთიერთობები ყოველთვის იყო დროისმოსაკლავად გამიზნული დიალოგების თემა, მაგრამ ის, რაც დღეს თბილისში ჭორების საგნად ქცეულა, არც მეტი არც ნაკლები თავის მომჭრელია არა მხოლოდ ჭორების ობიექტებისათვის, არამედ მთელი თბილისისა და მთელი საქართველოსთვის. ჭორი ჭორად, მაგრამ სამწუხაროდ, ქალაქში გავრცელებულ ჭუჭყიან ხმებს შორის ბევრია პიტალო სიმართლე.

თავად განსაჯეთ, თბილისში არსებობენ მეოთხეკლასელი მეძავები...

თბილისში არსებობენ მეხუთეკლასელი ნარკომანები...

თბილისში არსებობენ პროფესიონალი მათხოვარი ბავშვები ისეთი კატეგორიისაც, რომელნიც თავს უპატრონოებად ასაღებენ, არადა მათ საღამოობით ფულის მისათვლელად და სახლში წასაყვანად მშობლები აკითხავენ...

თბილისში არსებობს მათხოვართა მაფია... კარგი დიდის შვილია რომელიმე მათხოვარი შეფის დაუკითხავად ნებადაურთველ ადგილზე დაჯდეს სამათხოვროდ და მას კინწისკვრით გააგდებენ იქიდან.

ნებართვის აღებას კი გასამრჯელოს გადახდა სჭირდება მათხოვართ უფროსებთან...

გაგრძელება მე-5 გვ.

პარტიები რეფერენდუმის ხუთი წლისათვისა და ორგული კორუმპირებული ადმინისტრაციის შესახებ

ქვემოთ ვაქვეყნებთ 26 დეკემბრის დოკუმენტზე ხელის მომწერი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი პარტიების კიდევ ერთ დოკუმენტს — თეზისებს 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის მეხუთე წლისთავის გამო.

1991 წლის 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკაში ჩატარდა რეფერენდუმი, რომელშიც საქართველოს მოსახლეობის 99%-მა ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას.

ჩვენი ქვეყნისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობის ეს მოვლენა განაპირობა რამდენიმე სხვადასხვა ფაქტორმა და, შესაბამისად, იგი რამდენიმე სხვადასხვა პარამეტრით ახასიათებს და წარმოგვიდგენს ჩვენს ქვეყანაში არსებულ ვითარებას, მასში მაცხოვრებელი ადამიანების ინტერესებსა და სულისკვეთებას, მათს მდგომარეობასა და ურთიერთობებს, მათს დამოკიდებულებას დანარჩენი მსოფლიოსა და მისი დღევანდელი მოწყობისადმი (ჩვენი უშუალო სამეზობლოს ანუ კავკასიისა და შავი ზღვის არეალის, აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის და შუა აზიის ჩათვლით), მათი ნებისა და აზრის ძირითად მიმართულებებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ მათს მოქმედებას მაშინ, განსაზღვრავენ მას — დემოკრატიული თვითრეგულირების შემთხვევაში — დღეს და დარჩებიან მათს განმსაზღვრელად განმჭვრეტად მომავალში. ამ ფაქტორთა გაცნობიერება საქართველოს პოლიტიკოსთა მიერ და იმ უცხო ქვეყნების პოლიტიკოსთა მიერ, რომელთაც საქართველოს პრობლემებთან ურთიერთობა აქვთ ან ექნებათ, და მათი მხედველობაში მიღება, როგორც ჩვენი ქვეყნისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობის ფაქტორებისა, არა მარტო საქართველოს თავისუფლების და მისი თვით ფიზიკური გადარჩენის აუცილებელი პირობაა, არამედ კავკასიის რეგიონში ვითარების სტაბილური დარეგულირებისაც. ეს ფაქტორები, კერძოდ, შემდეგია:

I. პირველი ფაქტორი. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ანუ სსრკ შემადგენლობიდან საქართველოს რესპუბლიკის გასვლისათვის ხმის მიცემით ქართველმა ერმა, რომელმაც თითქმის ორი საუკუნე, 1918-21 წლების გამოკლებით, გაატარა უცხო ქვეყნის შემადგენლობაში, გამოთქვა თავისი ნება, იყოს თავისუფალი და ჰქონდეს თავისი თავისუფალი სახელმწიფო. ამით მან დაამტკიცა, რომ ასოთხმოცდაათწლიანმა კოლონიურმა მდგომარეობამ და პატივის აყრამ, არაერთმილიონიანმა მსხვერპლმა და ულმობელ-

გაგრძელება მე-4 გვ.

თურქეთში აფიორით ცნობილი ფირმები ბაზალეთზე თურქულ უნივერსიტეტს გვიშენებენ (!)...

მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში 4 აპრილს ქართველი მეცნიერები შეიკრიბნენ. სხდომა მიეძღვნა ბაზალეთის ტბის ტერიტორიაზე ორი თურქული კერძო ფირმის მიერ შავიზღვისპირეთის ქვეყნების უნივერსიტეტის გახსნას. ამ უნივერსიტეტს 50 ჰექტარი მიწა გადასცემია 99 წლით. მიწის გადაცემაზე ხელს აწერს ყოფილი პრემიერი ოთარ ფაცაცია. უნივერსიტეტისათვის სხვა საჭირო დოკუმენტებზე ხელს აწერს ყოფილი ვიცეპრემიერი ავთანდილ მარგიანი, ლიცენზია გაუცია განათლების სამინისტროს. პარლამენტი, საზოგადოებრიობა, სამეცნიერო წრეები საქმის კურსში არ იყვნენ და მხოლოდ პოსტფაქტუმ გახდა ცნობილი, რომ ერთი

გაგრძელება მე-4 გვ.

მედროვეებით აივსო ქვეყანა, — ამბობს მოქალაქეთა კავშირის აქტივისტი...

31 მარტს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შედგა საქართველოს დამოუკიდებლობის 5 წლისთავისადმი მიძღვნილი მოქალაქეთა კავშირის ფორუმი.

5 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩატარდა სახალხო რეფერენდუმი. მასში 3 მილიონზე მეტმა მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა [illegible] და-მოკიდებულება გამოხატა 17400 ადამიანმა, ხოლო 3266245-მა გამოთქვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილი.

ელდარ შენგელაიას გამოსვლიდან: — „ამ ხუთი წლის მანძილზე ბევრჯერ ვიდეკით უფსკრულის პირას. დღეს კი გარკვეული ძალები კვლავ იწყებენ ბრძოლას „წითელი იდეისათვის“. ჩვენ მტრების გასაგონად ვაცხადებთ: არ დავთმობთ ჩვენი წინაპრების ოცნებებს და გამოვთქვამთ ურყევ [illegible]ებას დემოკრატიული საქართველოს აღმშენებლობისათვის“.

ჯემალ სვანიძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ „დღეს ნულზეა დასული სახელმწიფო პოტენციალი. მოსახლეობა სოციალურად დაუცველია. უამრავი პრობლემაა გადასაჭრელი ქვეყნის შიგნით. მიუხედავად ამისა, ჩვენ ჯერ საკუთარი ბეხურები ჩავდგით, მალე საკუთარ ბენზინგასამართ სადგურებს და ბაზრობებს გავხსნით. ქვეყნისთვის საჭირო საქმის კეთება კი გვავიწყდება“.

ლევან მამალაძემ თქვა, რომ

გაგრძელება მე-3 გვ.

ალიაქოთი საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში

პირველი გვერდიდან

ფირმებს ლითონის ჯართი სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან ჰქონდათ შესყიდული. ამასთან, ფირმა „მედიკოსი“ რატომღაც განთავისუფლებული იქნა საბაჟო და სხვა მოსაკრეფლების გადახდისაგან. მინისტრთა კაბინეტის ზემოაღნიშნულ №635 დადგენილების თანახმად ფირმა „თბილისზე“ ჯართის გატანის ლიცენზია უნდა გაცემულიყო მხოლოდ რესპუბლიკაში შაქრის ფხვნილის შემოტანის შემდეგ, მაგრამ აღნიშნულ დადგენილებაში 1994 წლის 15 სექტემბერს მინისტრთა კაბინეტის ახალი №661 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილება, რითაც საბაჟო დეპარტამენტს მიეცა უფლება ფირმა „თბილისზე“ ლიცენზიის გარეშე ჯართის გატანის ნებართვის გაცემის შესახებ. ანალოგიური არასახელმწიფოებრივი, რესპუბლიკის ეკონომიკისათვის საზიანო, დანაშაულებრივი ქმედება გამოვლინდა რესპუბლიკის გარეთ მეორადი სილიკომანგანუმის გატანის საქმეშიც. კერძოდ, რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებით დაშვებული „გამონაკლისების“ შედეგად ნება დაერთო კონცერნ „ზესტაფონს“ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაეტანა 20000 ტონა სილიკომანგანუმი, ბაღდადის რაიონის გამგეობას 6000 ტონა, ხოლო კონცერნ „გულანს“ 7000 ტონა სილიკომანგანუმი, რაზედაც გაცემული იქნა შესატყვისი ლიცენზიები. აღნიშნული ქმედების შედეგად ფაქტიურად ჩაიშალა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მიერ თურქეთის ფირმა „სოვტურთან“ გაფორმებული მომგებიანი კონტრაქტი, რომელიც ითვალისწინებდა 10000 ტონა ხარისხოვანი სილიკომანგანუმის ექსპორტს თურქეთის რესპუბლიკაში. ამასთან აღსანიშნავია, რომ 1 ტონა ხარისხოვანი სილიკომანგანუმის ფასი საერთაშორისო ბაზარზე შეადგენს 400—440 აშშ დოლარს, მაშინ, როდესაც აღნიშნულ შემთხვევებში მეორადი სილიკომანგანუმის ექსპორტი განხორციელდა ძალზე დაბალ ფასში 200—220 აშშ დოლარად, რითაც პრაქტიკულად ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისათვის დაიკარგა თურქეთის ბაზარი ხარისხოვანი სილიკომანგანუმის ექსპორტისათვის და ქარხანამ განიცადა მატერიალური ზარალი. ამასთან აღნიშნული ფირმებისა და ორგანიზაციების მიერ მეორადი სილიკომანგანუმის შეგროვება ხდებოდა ქ.ზესტაფონში მდ.ყვირილას სანაპირო ზოლში, სილიკომანგანუმის მყარი წიდების საყარი ტერიტორიიდან. სპეციალისტთა გაანგარიშებით, წიდის საყარზე დაახლოებით 1,5 მლნ კუბური მეტრი წიდის ღორღია, რომელიც შეიცავს 30—35 ათას ტონამდე სილიკომანგანუმს და რომლის გადამუშავებითაც შესაძლებელია მიღებული იქნას ძვირადღირებული მაღალხარისხოვანი სილიკომანგანუმი. ლითონის ჯართისა და სილიკომანგანუმის საზღვარგარეთ გატანის კანონიერების შემოწმება დღეის მდგომარეობითაც გრძელდება. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში ჩატარებული დოკუმენტური რევიზიების შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობითაა შემორჩენილი 1992 წლამდე დაბალ ფასებში შესყიდული მატერიალური ფასეულობები. იმის შედეგად, რომ მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება სამთავრობო დადგენილებით არ მომხდარა 1992 წლის თებერვლის შემდგომ, ხოლო მცირეფასიანი და სწრაფადცვეთადი საგნების გადაფასება საერთოდ არ განხორციელებულა, საწარმოებში ზემოაღნიშნული მატერიალური ფასეულობანი (მასალები, მაკომპლექტებელი ნაკეთობანი და სხვა) ირიცხება რამდენიმე ათასჯერ დაბალ ფასებში, ვიდრე მათი რეალური (საბაზრო) ფასებია. კერძოდ, საწარმოებში ირიცხება სხვადასხვა ტიპის საკისრები 1,0 — 5,0 კუპონად, კონსტრუქციული ფოლადის ასორტიმენტი 14,0 — 26,0 ათას კუპონად 1 ტონა, მჭრელი და მზომი იარაღები 0,5 — 10 კუპონად, საბეჭდი მანქანები, საყოფაცხოვრებო მაცივრები და კონდიციონერები 250,0 — 300,0 კუპონად და ა.შ. პროდუქციის წარმოებისათვის გამოყენებული ასეთი მცირეფასიანი მასალები და მაკომპლექტებელი ნაკეთობანი სავსებით მისაღებია როგორც საწარმოს ეკონომიკის, ასევე სახელმწიფოებრივი თვალსაზრისითაც, რადგანაც თვითღირებულების შემცირების შედეგად იზრდება მოგება და რესპუბლიკის ბიუჯეტიც მოგებიდან გადასახადის სახით გარკვეულ შემოსავალს იღებს. მაგრამ მეორეს მხრივ, რადგანაც მასალების, მაკომპლექტებელ ნაკეთობათა, მცირეფასიანი და სწრაფადცვეთადი საგნების რეალიზაცია როგორც კერძო (ფიზიკურ) პირებზე, ასევე ფირმებზე, კანონით დაშვებულია, იქმნება წინაპირობა საეჭვო გარიგებების წარმოებისათვის. კერძოდ, რიგი საწარმოების მიერ იაფფასიანი მასალები (ნედლეულის) და მაკომპლექტებელ ნაკეთობათა, მცირეფასიანი და სწრაფადცვეთადი საგნების რეალიზაცია როგორც კერძო (ფიზიკურ) პირებზე, ასევე ფირმებზე, კანონით დაშვებულია, იქმნება წინაპირობა საეჭვო გარიგებების წარმოებისათვის. კერძოდ, რიგი საწარმოების მიერ იაფფასიანი მასალები (ნედლეულის) და მაკომპლექტებელ ნაკეთობათა რეალიზაციისას გამოყენებულია ფასები მათივე შეხედულებისამებრ, თანაც სახელმწიფო საწარმოებზე მატერიალური ფასეულობანი ხშირ შემთხვევაში იყიდება გაცილებით ძვირად, ვიდრე კერძო სტრუქტურებზე. ასევე არ არსებობს არავითარი მექანიზმი, რომელიც დაიცავდა და გამორიცხავდა მცირეფასიანი მასალების და ნაკეთობათა გაფუჭებისა და დატაცების შემთხვევებს. მოქმედი დებულებების თანახმად ინვენტარიზაციებით გამოვლენილი დანაკლისები მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიერ იფარება იმ ფასებით, როგორც მათ ეს ფასეულობანი ერიცხებათ. ეს კი ქმნის ისეთ პირობებს, როცა მატერიალურ ფასეულობათა დიდი ოდენობით დანაკლისის (ან მიტაცების) შემთხვევაშიც კი მატერიალურად პასუხისმგებელი პირი პრაქტიკულად დაუსჯელი რჩება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საწარმოთა პრივატიზებისას არ ხდება მატერიალურ ფასეულობათა მარაგების (მასალების, ნედლეულის, მაკომპლექტებელი ნაკეთობების, დაუმთავრებელი წარმოების, მცირეფასიანი და სწრაფადცვეთადი საგნების) აფასება, რის შედეგადაც საწარმოთა აუქციონის (ან კონკურსის) წესით გაყიდვისას სახელმწიფო ქონება პრაქტიკულად უფასოდ გადადის კერძო სტრუქტურებში.

გაგრძელება იქნება

გია გვაზავა:

1993 წლის 30 სექტემბრიდან ცალიერ რაიონში დახვრეტილია 1100 კაცზე მეტი

ინტერვიუ საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთის“ წევრთან, დეპუტატ გია გვაზავასთან.

— ბატონო გია, აფხაზეთის მხარემ ტერორიზმში დაადანაშაულა ქართული მხარე და უარი თქვა მძევლების დაბრუნებაზე...

— ეს აბსურდია. თერთმეტი წლის ბავშვს იტაცებენ და ტერორიზმში ჩვენ გვდებენ ბრალს. ჩვენ უამრავი ფაქტები გვაქვს აფხაზეთის მხარის მიერ ჩადენილი. ძნელია ამ ფაქტებზე ლაპარაკი. ისინი აღარ იწვევენ ისეთ ეფექტს, როგორც ერთი კაცის სიკვდილი, რადგან ეს ფაქტები უკვე სტატისტიკაა. მაგალითად, 11 მარტს გალის რაიონში დაყაჩაღების მიზნით შეუვარდნენ ოჯახში. როდესაც ფული ვერ ნახეს, დაზარალებული ცეცხლში დააყენეს და ფეხები დაუწვეს. 30 ივლისს თავს დაესხნენ 1958 წელს დაბადებულ მურმან ავქსენტის ძე წულაიას, წაიყვანეს იზოლატორში, სადაც ის სასტიკად სცემეს და შემდეგ ცოცხალ კაცს სკალპი ახადეს. საბედნიეროდ ბატონი მურმანი ცოცხალი გადარჩა. აფხაზები იჭერენ ჩვენს მოსახლეობას და სხვადასხვა რაიონებში მიჰყავთ სამუშაოდ. ოჩამჩირის რაიონის სოფელ აჩიგვარის რკინა-ბეტონის ქარხანაში 42 კაცს ამუშავებენ. ხომ წარმოგიდგენიათ, რა პირობებში უწევთ მათ იქ ყოფნა. სამწუხაროა, რომ ყველაფერი ეს ხდება იმ ზონაში, სადაც რუსეთის სამშვიდობო ძალებია განლაგებული. 1993 წლის 30 სექტემბრიდან გალის რაიონში დახვრეტილია ათას ას კაცზე მეტი, ხოლო რამდენიმე ასეული ადამიანი უგზო-უკვლოდაა დაკარგული. სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები აფხაზ „ბოევიკებთან“ ერთად მონაწილეობენ დამსჯელ აქციებში, ეხმარებიან მათ, აძლევენ ტექნიკას. იჭერენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასულ ჩვენს თანამემამულეებს და აბარებენ აფხაზურ მილიციას. რუსეთის სამშვიდობო ძალები პრაქტიკულად თანამშრომლობენ აფხაზ სეპარატისტებთან.

— ბატონო გია, სამწუხაროდ, დრომ გვიჩვენა, რომ პოლიტიკა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება აწარმოებდა, არასწორი იყო. როგორი პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ ახლა, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდეს?

— ჩვენ არათუ არასწორი პოლიტიკა გვქონდა, არამედ საერთოდ არ გვქონდა პოლიტიკა. საქართველო პატარა ქვეყანაა. მას არ შეუძლია ზეგავლენა იქონიოს მეზობელ ძლიერ სახელმწიფოებზე, მაგრამ ჩვენ პრაქტიკულად კავკასიის კვანძს წარმოვადგენთ. ამიტომ ისე უნდა დავაყენოთ საკითხი, რომ ჩვენს მოთხოვნებს ანგარიში გაუწიონ. საქართველომ უნდა განსაზღვროს თავისი პრიორიტეტები. ჩვენ კი საუბედუროდ ყოველთვის ზედმეტს ვთმობთ. საჭიროა მტკიცე პოზიციის დაკავება. ყველასათვის ნათელია, რომ როგორც კი აფხაზეთის საკითხს „დე ფაქტოდან“ „დე იურეში“ გადავიყვანთ, აფხაზეთი ჩვენი აღარ იქნება, ისევე როგორც დაკარგული იქნება ის აფხაზებისათვის. ის უკვე მესამე ძალის საკუთრება გახდება. დაე, წაგვართვან აფხაზეთი, ოღონდ იყოს ის წართმეული და არა გაჩუქებული. ჩვენი პოლიტიკა პრინციპული უნდა იყოს, ჩვენ კი ყოველთვის შეშინებულის პოზიციას ვიკავებთ. როცა მართალი ხარ, ხომ უნდა თქვა შენი სიმართლე. სამიტის ხელშეკრულების მიღებიდან ხუთი დღე არ იყო გასული, რომ „გაეროს“ წარმომადგენელი აფეთქდა კონფლიქტურ ზონაში. ეს იყო სეპარატისტი აფხაზების მიერ მოწყობილი პროვოკაცია, რომელიც ქართულ მხარეს დაბრალდა. ჩვენ კი ჩუმად ვართ. პოლიტიკაში არის ნიუანსები, რომელთა გამოტოვება შემდეგ ბუმერანგად დაგვიბრუნდება.

— ბატონო გია, აფხაზეთის მხარეს არაოფიციალური წარმომადგენლები ჰყავს სხვადასხვა ქვეყნებში, საქართველოს კი ოფიციალური. მაინც ისე ხდება, რომ აფხაზური მხარე გვჯობნის და მათთვის სასურველ ინფორმაციებს აწვდის მსოფლიოს.

— აფხაზურ მხარეს არაოფიციალური წარმომადგენლობა არა მარტო დსთ-ს ქვეყნებში, არამედ ამერიკაშიც კი ჰყავს. მივიღეთ დადგენილება ინფორმაციული ვაკუუმის შესავსებად, მაგრამ ეს დადგენილება არ სრულდება. ჩვენ საერთაშორისო ორგანოებს ვთხოვთ დაადასტურონ აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის გენოციდის ფაქტი, რომელიც ჯერ საქართველოსაც არ დაუფიქსირებია. აბსურდია, მაგრამ რას ვიზამთ. იმედია, ცოტა ხანში ეს პრობლემა მაინც მოგვარდება.

ესაუბრა
ლელა ჯაფარიძე

სანამ არძინბა სოხუმში ზის იქ ქართველები ვერ შევლენ

საქართველოს პარლამენტში 5-6 აპრილს გაიმართება სესია, რომელზეც აფხაზეთის პრობლემას განიხილავენ. საკითხის მნიშვნელობის და სერიოზულობის გამო საპარლამენტო ფრაქცია ეროვნულ-დემოკრატმა პარლამენტს გარეთ დარჩენილ პოლიტიკოსებთან და ოპოზიციურად განწყობილ პარლამენტის წევრებთან კონსულტაციები ჯერ კიდევ გასულ კვირას დაწყო. შეხვედრის მეორე რაუნდი 3 აპრილს გაიმართა, რომელზეც დამსწრე ჟურნალისტთა რაოდენობა ბევრად აღემატებოდა ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკოსთა რიცხვს.

მამუკა გიორგაძემ შეხვედრაზე მოსულთ გააცნო ის მოთხოვნები, რასაც ეროვნულ-დემოკრატები სესიაზე დააყენებენ. ფრაქცია თვლის, რომ საჭიროა ქართულ-აფხაზური კონფლიქტი დაფიქსირდეს როგორც რუსეთ-საქართველოს ომის და შეფასდეს როგორც საქართველოს წინააღმდეგ მიმართული აგრესია. მეორე საკითხი, რაზეც ედპ იხაუბრებს, ეს არის სამშვიდობო ძალების უფლებამოსილების გაგრძელება საქართველოს ტერიტორიაზე, აფხაზეთში მომხდარი მოვლენების კრიმინალური მიმართებით შეფასება და მეოთხე, მოიძებნოს საშუალება, რათა ქართულ-აფხაზურმა მხარეებმა ერთმანეთთან პირდაპირი კონტაქტი დაამყარონ, ყოველგვარი მესამე კაცის გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარის მიერ ჩამოთვლილ მოთხოვნებს ყველა დაეთანხმა, მაგრამ გაჩნდა პრობლემა.

რა სურს ფრაქციას, უბრალოდ სიმართლის თქმა, რომელსაც არავითარი ქმედება ხელისუფლების მხრიდან არ მოჰყვება და იქნება მხოლოდ ფრაქციის პოზიციის გამოხატვა თუ საჭიროა მოთხოვნებს მიეცეს ისეთი ფორმა, რასაც მხარს სხვა დეპუტატებიც დაუჭერენ.

ირაკლი მელაშვილმა თავისი საპარლამენტო წარსული გაიხსენა და დამსწრეთ ურჩია ნუ მიბაძავენ ძველ პარლამენტს, სადაც ცხარე დებატები მიდიოდა, განსახილველად შეჰქონდათ დოკუმენტები, რომლებიც არაფრისმთქმელი არ იყო, რადგან მათი მიღება უბრალოდ არ ხდებოდა. „აგრესიის საკითხის გარკვევას ვერ შეეძლებთ“, — განაცხადა ირაკლი მელაშვილმა, „ეს არ აწყობს დღეანდელ ხელისუფლებას“.

ირაკლი ბათიაშვილმა კი ედპს ურჩია აუცილებლად დააფიქსირონ ობიექტური ჭეშმარიტება და ისტორიისთვის მაინც თქვან, რომ აფხაზეთის ომი, ეს იყო რუსეთის აგრესია საქართველოს მიმართ, „პირად საუბარში ამას ყველა ეამბობთ, მაგრამ საჭიროა ეს სახელმწიფო დონეზე დაფიქსირდეს“, — განაცხადა ბათიაშვილმა.

რაც შეეხება სამშვიდობო ძალებს, ბათიაშვილი თვლის, რომ მათ უნდა დატოვონ საქართველოს ტერიტორია.

შეხვედრაზე ისაუბრეს ლტოლვილების დაბრუნების შესახებაც. „ლტოლვილები აფხაზეთში მხოლოდ იურისდიქციის აღდგენის შემდეგ უნდა შევიდნენ, სანამ არძინბა სოხუმში ზის, იქ ქართველები ვერ შევლენ, — განაცხადა მამუკა გიორგაძემ.

შეხვედრაზე დაზუსტებულ იქნა ის მინიმუმი, რაც საპარლამენტო ფრაქციამ უნდა მოითხოვოს. თუმცა სავარაუდოა, რომ ამ მინიმუმს მაქსიმალურად არ დაუჭერენ მხარს დეპუტატები. სამწუხაროდ, ჩვენ შევეგუეთ იმ აზრს, რომ ქართული პოლიტიკა საქართველოში კი არ კეთდება, არამედ „კავკასიის მთების მიღმა“, „პოლიტიკა უნდა შევიმუშაოთ“, — თქვა გიორგი კობახიძემ. მისი განცხადებით საჭიროა ხელისუფლების იმ პასუხისმგებლობით აღჭურვა, რომელიც მან არჩევნების წინ თავის თავზე აიღო.

ედპ-მ თავისი პოზიცია გაარკვია, დაველოდოთ პარლამენტის სხდომას. თუმც დიდი იმედით ამ სესიას არც პოლიტიკოსები შეჰყურებენ და არც რიგითი მოქალაქეები.

ეკა აბაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკოსებიც ადამიანები არიან, მათაც ჭირდებათ ფული...

ეს ჭეშმარიტება ბევრმა კარგად შეიგნო და იმ მცირე პერიოდში, რაც პარლამენტის წინა ვადით იყო განსაზღვრული, იმდენი იშოვა, მთელი ცხოვრება რომ დასჭირდებოდა და ისიც არ ეყოფოდა რიგით, წესიერ კაცს. ზოგმა „ქოხები" იყიდა პარიზში, ზოგმა ნიუ-იორკში შეიძინა „ფაცხები", ზოგმა კი თბილისში წამოიწყო რამდენიმე გრანდიოზული სახლის მშენებლობა.

მართალია, ბევრი მათგანის გვარი ახლა აღარავის ახსოვს, ვინაიდან პოლიტიკას ვერავითარი კვალი ვერ დააჩნიეს, მაგრამ იმ ადამიანების „ნაღვაწის" კვალი, რომელნიც პარლამენტსა თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოღვაწეობასთან ერთად შეთავსებით დვალიშვილის ბანკში ისხდნენ, უფრო ხშირად ჩვენს ჯიბეებს ატყვია.

ამასთან ისეთი დეპუტატებიც გვყავდა, რომელთაც სიღარიბის კვალი დეპუტატობის დროშიც ეტყობოდათ და დღეს განსაკუთრებით აწუხებთ ეს პრობლემა, ანუ გვყავდა, საბედნიეროდ, ის ხალხიც, ვინც ქვეყანა ძროხასავით არ წველა.

ვინ არის ასეთი და ვინ ისეთი, ამის კვლევა ჩვენს ძალას აღემატება.

ჩვენმა კორესპონდენტმა ერთადერთი კითხვით მიმართა რამდენიმე ყოფილ დეპუტატს:

რითი ცხოვრობთ?

გაქვთ თუ არა ამჟამად სამსახური?

მათ გამომეტყველებაზე ეტყობოდათ, რომ პარიზში „ქოხების" პატრონები არ უნდა იყვნენ, თუ მკითხველი დაინტერესდება, მომავალში ამ კითხვებით იმ დეპუტატებსაც მივმართავთ (ამჟამინდელსა და ყოფილს), რომელნიც ქვეყნის გამოწველვაში არიან შემჩნეულნი...

ლუიზა შაკიაშვილი:

საშსახურის მხრივ ჩემზე არავის უზრუნია, რა თქმა უნდა, ისე, მე თვითონაც ვერ ვიზრუნე ჩემს თავზე. ცოტა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით მქონდა პრობლემები და ამიტომ არც შემეძლო მუშაობა. ახლა ცოტა გამოვედი მდგომარეობიდან და, ვნახოთ, ტელევიზიაში დავბრუნდები, ხალხური შემოქმედების რედაქციაში, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ხალხური ყველაფერი ამოიძირკვა ტელეეკრანებზე, როგორც ხედავთ. არაფერი აღარა აქვთ ამ რედაქციაში საკეთებელი, სხვდან უსაქმურად და მე უსაქმურობა არ შემიძლია, ყოველ შემთხვევაში, მოვსინჯავ. ჯერჯერობით კი გახლავარ დროებით უმუშევარი. მაგრამ პოლიტიკა არც დამიტოვებია და არც დავტოვებ. ვიმუშავებ იმ მხრივ, რომ ყველა ორგანიზაციის ლონისძიებას, რაც ჩემთვის იქნება მისაღები, დავესწრები, ხელი იქნება სადმე მოსაწერი- მოვაწერ და ა.შ. გარდა ამისა, ჩვენ ჯერჯერობით არ ვაცხადებთ, მაგრამ რაღაც ორგანიზაციას ვქმნით, რომლიც დამფუძნებელი მეც გახლავართ და მალე რეგისტრაციაში გავტარდებით. როცა პრეს-კონფერენციას მოვაწყობთ, თქვენც მოგიწვევთ და...

ვაჟა ადამია:

მე პარტიის თავმჯდომარე ვარ და ვმუშაობ პარტიაში. რაც შეეხება ჩემს ძველ პროფესიას (სტომატოლოგიას), 1989 წლიდან, რაც ეს ეთნოკონფლიქტები დაიწყო, ფაქტიურად ჩემი სპეციალობით მუშაობის საშუალება აღარ მომცემია. რასაკვირველია, იცით, ალბათ, ჯერ უზენაეს საბჭოში ვიყავი, შემდეგ პარლამენტში, იყო შუალედი — სამხედრო საბჭო და სახელმწიფო საბჭო. არის შუალედი ახლაც, რომ ხელისუფლებაში არ ვარ. ჩემი პარტია დიდი პარტიაა, სამუშაო საკმაოდ გვაქვს, ვმუშაობთ. შედეგიც აგერ, თვალწინაა. უკვე მეორე კონფერენციას ვატარებთ. ეს ჩვენი ოთხი თვის მუშაობის შედეგია. პირად ცხოვრებაშიც ზოგი ძველებურადაა, ზოგი ახლებურად, მაგრამ ისეთი ღირსშესანიშნავი ფაქტიურად არაფერი არ ხდება. იცით, ეს რუხი ცხოვრება, რომელიც ბევრი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებითაა გამოწვეული, ვცდილობთ, ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციების ინტეგრაციის ფონზე წარმოვაჩინოთ უფრო ღირშესანიშნავად, და, რაც მთავარია, ის ნიჰილიზმი, რაც ასე გამოკვეთილია, ხვალინდელი დღის იმედით გვინდა შევცვალოთ. ხვალ კი ნამდვილად ბევრი კარგი ელის საქართველოს.

ირაკლი წერეთელი:

ჩემი არადეპუტატური ცხოვრება ძალიან კარგად მიდის. მაგალითად, ვმუშაობთ დიდ გაერთიანებაზე და ვაგრძელებთ ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. პირად ცხოვრებაში ცოტა ფინანსების ნაკლებობას განვიცდი, თორემ ისე, არა უშავს. მუშაობით მხოლოდ პოლიტიკაში ვმუშაობ. მხოლოდ პოლიტიკა! მხოლოდ თავისუფლება! სად უნდა ვიმუშაო ახლა მე...

ვახტანგ ასათიანი:

ჩემი ცხოვრება არაფრით არ შეცვლილა. მხედველობაში მე ეკონომიური მდგომარეობა მაქვს. რა დღეშიაც ვიყავი მაშინ, იმ დღეშივე ვარ. საქმიანობრივს რაც შეეხება, უბრალოდ, პარლამენტში არა ვარ, თორემ პოლიტიკისთვის თავი არ დამინებებია. ემოლვაწეობთ და ვცდილობთ, რაღაცას მივაღწიოთ. არა მგონია, დღეს საქართველოში კარგი სიტუაცია იყოს, და ვნახოთ, მომავალი რას გვიჩვენებს. პიროვნულად, რა ვიცი, რომ ვთქვა, რომ რამე დავკარგე პარლამენტში არყოფნით, ასეთი არაფერია, არაფერი შეცვლილა პრინციპში.

ვასიკო ხომერიკი:

დღესდღეობით ისეთს არაფერს ვაკეთებ. ვარ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, ვაგრძელებ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. მთავრობას არ უზრუნია ჩემს სამსახურზე.

დავით კუპრეიშვილი:

ზრუნვით მე არც არავისთვის არ მითხოვია, რომ ჩემთვის სამსახური ეპოვა. ჩემი მთავარი საშუალო ის არის, რომ მერაბ კოსტავას საზოგადოებაში პოლიტიკური საბჭოს ხელმძღვანელი ვარ და ამას დამატებული ის, რომ ამ პარტიათა გაერთიანებაში აქტიურად ვთანამშრომლობ მთელი იურიდიული დოკუმენტაციის მომზადებაზე, და ამას იმდენი ენერგია მიაქვს, რომ მე სხვა რამისთვის არც მრჩება დრო. ეკონომიურად?.. ეგ ცოტა ძნელი კითხვაა. გაზეთს ვცემთ. ჩვენი საზოგადოების გაზეთის გამოცემას ვხელმძღვანელობ და ბევრი არა, რაღაც მინიმალური შემოსავალი მაქვს ამ გაზეთიდან.

მედროვეებით აივსო ქვეყანა, — ამბობს მოქალაქეთა კავშირის აქტივისტი?!

პირველი გვერდიდან

„ჩვენ ვხედავთ ერის განვითარებაში იმ დიდ შეცდომებსაც და სწორად გადადგმულ ნაბიჯებსაც, იმასაც, რომ დაქუცმაცებულობისაკენ მივყავართ ზოგიერთ პარტიას, რადგან ჯერ არ დამცხრალა შინაგანი ბრძოლა პოლიტიკურ პარტიებს შიგნით. მიმდინარეობს ბრძოლა კორუფციასთან. მშვიდობიან და დემოკრატიულ გზას მოქალაქეთა კავშირი არასდროს გადაუხვევს".

ბ-ნ ოთარ მეღვინეთუხუცესს სხდომაზე დააგვიანდა (საცვლად 12-ის 1 საათზე მობრძანდა). სპიკერის მოადგილე მიხვდა დაგვიანების მიზეზს — საათების გადაწევას მურვანიძე აღარ აკონტროლებსო.

ბ-მა ოთარმა წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ მოქალაქეთა კავშირს დამოუკიდებლობის გზაზე ერთი საათით ჩამორჩა. მან გაიხსენა ერთ-ერთი ფილმის გადაღებები, რომლებიც გუდაუთაში მიმდინარეობდა.

— ფეხბურთზე ელაპარაკობდით გადასაღებ მოედანზე. იქვე აფხაზი ბიჭუნა იდგა და გვისმენდა. მეორე დღეს მოსკოვის ერთ-ერთი გუნდისა და თბილისის „დინამოს" საფეხბურთო მატჩი უნდა გამართულიყო. გიგა ლორთქიფანიძე შეეკითხა ბიჭს: — ვინ გინდა რომ მოიგოსო? — მოსკოვმო! — უპასუხა მან. — რატომ, თბილისში რომ აფხაზი თამაშობსო? არ დაიჯერა ბიჭმა. მაშინ გაზეთი მოიტანა გიგამ. ბავშვი დარწმუნდა რა სიმართლეში, ატირდა. ეს სიძულვილი იყო, პატარა ბავშვში ჩადებული სიძულვილი. სიძულვილს კი სიყვარული უნდა დაუპირისპიროთ. სხვანაირად არ შეიძლება.

მათ, ვინც ჩექმა დაგვადგეს, ახალი საფიქრელი ადგილი შექმნეს და „დუმა" უწოდეს. ისინი იმ „დუმაში" რასაც ფიქრებენ, გასაგებია. ამ ბოლო ხანებში გახსნეს გულისთქმა. ჩვენც ხომ ვერ დავმალეთ ჩვენი გულისთქმა და ვიწვნიეთ ტკივილები, იქნებ იმათაც იწვნიონ..."

გია ბარამიძემ 31 მარტის შემდგომ წლებს ეპოქალური გარდატეხის წლები უწოდა.

„მოყვარე ამბობს, რომ ჩვენ პასიურები გავხდით. მტერი ამბობს — მიიღეს ადგილები და აღარაფერს აკეთებენ. პარტიას შრომისუნარიანობა დაუკარგავს. ვცდილობთ ისეთი საქართველო ავაშენოთ, რომლის ღირსებიც არიან ქართველები, სომხები, ებრაელები... ყველა ისინი, რომლებიც საქართველოს შვილებად თვლიან თავს. კრიმინალური ვითარება მოწესრიგდა, მაგრამ ის ავაზაკი უფრო დაფარულია, პირდაპირ არ აყაყანებს. ჩვენ შეეუდექით რიულ ბრძოლას მაფიოზებთან, იმ კრიმინალებთან, რომლებიც დღესაც არიან. კორუფციასთან ბრძოლა იქცა მთავარ ამოცანად. ქვეყანას უჭირს, რადგან ახლა სწავლობს სიარულს. მაშინ, როცა პოლეშეკიზმის რეანიმაცია გვეპუქრება, ჩვენი თანამემამულენი ცდილობენ დანა ჩასცენ ჩვენს საზოგადოებას. ბუნებრივია ჩვენს მუშაობაში იქნება შეცდომებიც, მაგრამ ამის ბორიტად გამოყენება ეოცლად დაუშვებელია. მოკუწოდებ ყველას, გადავლახოთ პოლიტიკური და პიროვნული ამბიციები და დავდგეთ ერთად".

არნახულად „დატვირთული" და „შთამბეჭდავი" იყო ბ-ნ რეზო ამაშუკელის გამოსვლა.

მან თქვა: „როდესაც ბევრი ჩვენგანი განწირული იყო, ხსვები საკარძლებში გამოჭიმულები ელოდნენ, საით დაუბერავდა ქარი. მაშინ, როდესაც ერგვალი მაგიდა მძიმენარეადა, ერომა ვაუბატონმა სხვისი პარტბილეთი დაადო და თავისას ინახავდა (ბ-ნმა რეზომ იწინასწარმეტყველა, რომ ივლისის თვეშიც ბევრი ამოიღებს წითელ წიგნაკებს). მედროვეებით აივსო ქვეყანა. სწორედ ამიტომ „ლიტერატურული საქართველოს" გარდა აღარაფერს ვყიდულობ, რადგან ყველა გაზეთი „გაყიდულია"-ო.

— რა ძალები აერთიანებთ ადამიას, ნათაძეს? (დასვა შეკითხვა გამომსვლელმა).

— ლიპარტელიანმა ვირები ამჯობინა, ისეთ გარემოცვაში ვნახე ამასწინათ. დღესაც ჩემი სახლის სადარბაზოში დანით ამოჭრილია „სატანა", ეს იმიტომ, რომ სიბინძურეს თავი არ დავუხარე და უკადრებელი არ ვიკადრე. ბევრს უნდა ახლა ჰალსტუხის გაკეთება და ფაშვის გადმოგდება წერეთელივით.

საქართველო არ შეეა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში!

ყველამ თავის დუმას მოუაროს!"

ამ მწვავე და კატეგორიულ განცხადებას მეუხარე ალეოდისშვილები არ მოჰყოლია, თუმცა ბ-ნ რეზოს გამოსვლამ ერთგვარი „გამოცოცხლება" შეიტანა სხდომაზე.

შემდეგ ტრიბუნასთან ზურაბ ჟვანია ავიდა. „ჩვენმა პარტიამ ურთულეს პერიოდში გაიმარჯვა. დღესაც მრავალი ამოცანისა და პრობლემის გადაჭრა გვიხდება. ბოლშევიკური მოძრაობა არა მარტო რუსეთში იკიდებს ფეხს. ადამიანები მთელი სერიოზულობით ამბობენ კომუნისტური რეჟიმის აღდგენას. ჩვენ მომხრე ვართ დამოუკიდებელ რუსეთთან დამოუკიდებელი საქართველოს თანამშრომლობისა. დამოუკიდებლობა ჩვენი წადილია საუკუნეების განმავლობაში და ამაზე ჩვენ უარს ვერავინ გვათქმევინებს".

სხდომის დასასრულს სიტყვით გამოვიდა ბ-ნი ედუარდ შევარდნაძე.

„ზოგიერთი სერიოზული მოვლენები რომ არა რუსეთში, იმდენად არ იქნებოდა საჭირო დღევანდელი შეკრება. რუსეთის სახელმწიფო საათაბიროს მიერ მიღებული საბჭოთა კავშირის აღდგენის მოწოდება სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჩვენს დამოუკიდებლობას. სახელმწიფო სათათბიროს გადწყვეტილებაში ჩადებულია მძლავრი ბომბი, რომელმაც შეიძლება ახალ სისხლისღვრამდე მიგვიყვანოს როგორც რუსეთში, ისე საბჭოთა კავშირის სივრცეში. ბოლშევიზმის საფრთხე სერიოზულია. რუსეთთან კავშირი აუცილებელია. ასეთი მწვავე რეაქციები საჭიროა უმაღლესი სათათბიროს გადწყვეტილების მიმართ. ავადყოფობას მანამ უნდა შეებრძოლო, სანამ სხეული ლპობას დაიწყებს.

1978 წელს, კონსტიტუციის მიღებისას ქართულ ენას სახელმწიფო სტატუსის წართმევა ეშუქრებოდა, მაგრამ იგი შენარჩუნებულ იქნა როგორც სახელმწიფო ენა. დღეს დამოუკიდებლობის შენარჩუნებაა დღის წესრიგში.

პუტჩის მოწყობა სახელმწიფო სათათბიროდან არ გამოვა. ჩვენ გვინდა მეგობრობა და ძმობა ყველა ხალხთან, ყველა სახელმწიფოსთან... ევროკავშირი მძლავრ კავშირად იმიტომ ჩამოყალიბდა, რომ ევროპის ქვეყნებს არ ჰქონდათ შიში დამოუკიდებლობის დაკარგვის... მინისტრთა კაბინეტის დაშლით ბევრი რამ მოვიცილეთ, კერძოდ კორუფცია. ბრძოლა, რომელსაც იწყებს პარლამენტი კორუფციასთან, ესეც წარმატებაა, რადგან ხდება სახელმწიფოს ფორმირება".

აფხაზეთ-სამაჩაბლოსთან დაკავშირებით ბ-მა შევარდნაძემ ბრძანა, რომ თუ რუსეთის შუამავლობა შედეგს არ გამოიღებს, აფხაზებიც, ქართველებიც და ოსებიც მიხვდებიან, რომ ჩვენს საქმეს ჩვენვე უნდა მივხედოთ და უსათუოდ გაიმართება შედეგიანი დიალოგები.

რეფერენდუმზე მიიღეს რეზოლუცია.

სხდომის დასასრულს კი ერთ-ერთმა ქალბატონმა უმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ საზეიმო კონცერტი არ შედგა (?!).

ხათუნა აბაზაძე

საქართველო დემოგრაფიულ სარკეში

რამდენი ვიყავით, რამდენი ვართ

პირველი მონაცემები საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ ეკუთვნის XIII საუკუნის შუა პერიოდს. ივანე ჯავახიშვილის გამოთვლით იმ პერიოდის საქართველოს მოსახლეობა 4,5-5 მილიონის, ხოლო ვახტანგ ჯაოშვილის მიხედვით 1,8-2 მილიონის ფარგლებში მერყეობდა. ეს უკანასკნელიც კი იმ დროსათვის შეიძლება საკმაოდ დიდ რიცხვად ჩაითვალოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ინგლისის მოსახლეობა უელსის, შოტლანდიისა და ირლანდიის გარეშე ერთი საუკუნის შემდეგ, 1377 წლის აღწერით, 2,5 მილიონს ითვლიდა.

ბედუკულმართმა შუა საუკუნეებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს საქართველოს მოსახლეობა. ვახტანგ ჯაოშვილის შეფასებით, თუ საქართველოს მოსახლეობა 6 საუკუნის მანძილზე ისეთი ტემპებით გაიზრდებოდა, როგორითაც საშუალოდ მთელი მსოფლიოს მოსახლეობა იზრდებოდა, მაშინ 1800 წლისთვის საქართველოს

გაგრძელება მე-6 გვ.

პარტიები რეფერენდუმის ხუთი წლისთავისა და ორგული კორუმპირებული ადმინისტრაციის შესახებ

პირველი გვერდიდან

მა დიქტატურამ, სისხლისა და ცრემლის ზღვამ, რომელიც ამ ერმა დაღვარა, სულის შემზუთავმა ცენზურამ და მორალური რღვევისაკენ შეგნებულად მიმართულმა უცხო საპროპაგანდო მანქანამ, მოღალატეობისა და კაპიტულანტობის კულტივაციის ფართოდ განშტოებულმა სისტემამ, რომელიც მოწინააღმდეგემ ჩვენს ქვეყანაში შექმნა, თაობათა მანძილზე გაგრძელებულმა ყრუ იზოლაციამ ცივილიზებული და თავისუფალი მსოფლიოსაგან და სრულ მარტოობაში ყოფნამ ორმოცდაათჯერ აღმატებული მოწინააღმდეგის პირისპირ ვერ გატეხა მისი ნება და ვერ ააღებინა მას ხელი ვერც დედამიწის ზურგზე თავისი შთამომავლობისათვის მარადიული სამკვიდრებლის შენარჩუნების იმედსა და მისწრაფებაზე, ვერც პირად ღირსებასა და ეროვნულ თავმოყვარეობაზე, ვერც თავისი ისტორიის ხსოვნის უფლებაზე, ვერც სამართლიანობის, სიკეთისა და საყოველთაო კეთილდღეობის მარადიული ადამიანური იდეალების განხორციელებისაკენ საკუთარი გზების ძებნაზე. რეფერენდუმის პასუხით ქართველმა ერმა დაადასტურა თავისი უყოყმანო აზრი, რომ ზემოჩამოთვლილი მაღალი ღირებულებების დაცვა და ფლობა და ზემოხსენებულ ელემენტარულ ადამიანურ უფლებათა რეალიზაცია მას შეუძლია მხოლოდ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის პირობებში, და არა იმპერიის პირობებში, განურჩევლად ამ უკანასკნელის საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობისა, მისი კანონმდებლობის ხასიათისა ან მისი ნამდვილი თუ მოჩვენებითი დემოკრატიზაციის იმ დოზისა, რომლის დეკლარირება ხდება ხელისუფლების მიერ ან რომელიც მოითხოვება (და პერსპექტივაში დიდი ალბათობით მიიღწევა კიდეც) მასების მიერ.

რეფერენდუმის კითხვაზე — იყოს თუ არა საქართველო თავისუფალი? — „ჰოს“ თქმით ქართველმა ერმა მკაფიოდ გამოთქვა თავისი მზაობა პასუხისმგებლობისათვის როგორც თავის შემდგომ თაობათა წინაშე, ისე მსოფლიოს წინაშე, სახელდობრ, გამოთქვა, რომ

— იგი თავის თავს თვლის ერთ-ერთ სრულფასოვანსა და თავისთავადს ერთად მსოფლიოს ერთა შორის და ჰსურს დარჩეს ასეთად სამარადისოდ;

— რომ იგი უნარმოსილად თვლის თავის თავს სახელმწიფოს ქონისა და გაძღოლისათვის იმ პრინციპთა შესაბამისად, რაც მოითხოვება თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციის მიერ;

— რომ იგი უნარმოსილია და მზადაა პასუხისმგებლობისათვის თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ყველა მაცხოვრებლზე — როგორც მეტად წარმატებულზე, ისე ნაკლებ წარმატებულზე — ყოველი მათგანისთვის. იმ უფლებათა, შესაძლებლობათა და ცხოვრების იმ სიკეთეთა უზრუნველყოფისათვის, რომლებიც ადამიანის ადამიანურ უფლებათა ცნებაში იგულისხმება.

II. მეორე ფაქტორი. 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით საქართველოს მოქალაქეებმა თავისი დიდი უმრავლესობით, მათ შორის ეთნიკურად არაქართველმა მოქალაქეებმაც თავისი დიდი უმრავლესობით, გამოთქვეს ნდობა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოსადმი, სახელდობრ, გამოთქვეს თავისი რწმენა, რომ ამ სახელმწიფოს ძალუძს სრული თანასწორობისა და გაუდიფერენცირებლობის საფუძველზე უზრუნველყოს არა მხოლოდ ყველა ეთნიკური და ეროვნული კუთვნილობის მოქალაქეთა დაზღვეულობა პირადი დისკრიმინაციისაგან, არამედ მათი, როგორც ეთნიკური ან ეროვნული კუთვნილობის მოქალაქეთა დაზღვეულობა პირადი დისკრიმინაციისაგან, არამედ მათი, როგორც ეთნიკური ან ეროვნული ჯგუფის (მათ შორის — მინორიტეტული ანუ უმცირესობითი ჯგუფის) სპეციფიკური ინტერესების დაცვაც მისი წარმატების პერსპექტივათა შეუზღუდველობის, მისი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის სტაბილობის, ძალდატანებითი და არაძალდატანებითი ასიმილაციისაგან, ეროვნული აქტივობის ხელშეშლისაგან, ჯგუფის მორალური და რელიგიური ღირებულებების უგულებელყოფისაგან მისი დაცვის ჩათვლით. რეფერენდუმმა დაადასტურა საქართველოს მოქალაქეთა ნდობა ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოსადმი იმ მხრივაც, რომ მას ძალუძს არა მხოლოდ დაიცვას ეროვნულ და ეთნიკურ ჯგუფთა ზემოხსენებული ინტერესები, არამედ, ამასთანავე, ქმედითად შეუწყოს მათ ხელი საკუთარ შესაძლებლობათა გაშლაში და როგორც კულტურული და ეკონომიკური, ასევე სოციალური და პოლიტიკური შემოქმედებისათვის პირობები შეუქმნას მათ. ამ ნდობის გამოხატვა მოხდა რაიმე წინაპირობებისა და რაიმე რეფორმათა გეგმების წინასწარი გამოცხადების გარეშე. ამგვარად, საქართველოში მაცხოვრებელი ყოველი ეთნიკური ჯგუფი — როგორც უმრავლესობითი, ისე უმცირესობითი — ამ რეფერენდუმით დაეთანხმა ჯგუფთა ინტერესების დაცვის იმ ფორმას, რომელიც საქართველოში მოქმედი იყო 1991 წელს. და საქართველოში ტრადიციულად არსებულ სულისკვეთებას ეთნიკურ, ეროვნულ და რელიგიურ ჯგუფთა შორის ურთიერთობის სფეროში, სახელდობრ, მათი ინტერესების დაცვას ფუნქციური ავტონომიის (ანუ მათი ზემოხსენებული ფუნქციების შეუზღუდაობის) პრინციპით, რომელიც არ საჭიროებს ჯგუფთა ინტერესების დაკავშირებას უფლებათა ტერიტორიულ განაწილებასთან ამა თუ იმ ფორმით, და იმ სულისკვეთებას, რომ საქართველოს მოქალაქის, როგორც ასეთის, სრულფასოვანი ფუნქციობა საქართველოს რესპუბლიკის სამსახურში სავსებით შეთავსებადია მის მიერ თავისი ეთნიკური და ეროვნული განსაზღვრულობის შენარჩუნებასთან და მის ერთგულებასთან თავისი ეთნოსისა, ერისა და აღმსარებლობისადმი.

III. მესამე ფაქტორი. რეფერენდუმის ჩატარების დღეს, 1991 წლის 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკას ჰყავდა მინიმალური რაოდენობის და მინიმალური სახსრების მქონე პოლიცია, რომელიც თითქმის უიარაღო იყო იმის წყალობით, რომ კომუნისტურმა მარიონეტულმა ხელისუფლებამ წელიწადნახევრით ადრე თითქმის მთლიანად გადასცა სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს ის საბრძოლო იარაღი (ავტომატები), რაც საქართველოს მილიციას გააჩნდა. საქართველოს შეიარაღებული ძალები მხოლოდ ჩამოყალიბებას იწყებდა და ძალიან სუსტი იყო. ამავე დროს საქართველოში იდგა სსრკ ძლიერი შეიარაღებული ძალები, რომელთაც ამოქმედება შეეძლოთ, ვინაიდან საქართველოს ჯერ არ ჰქონდა აღდგენილი დამოუკიდებლობა და, ამგვარად, სსრკ კონსტიტუციის მიხედვით ჯერ კიდევ სსრკ შემადგენლობაში იმყოფებოდა. ამგვარ პირობებში შეუძლებელი იყო საქართველოს სახელმწიფოს მიერ რაიმე ზემოქმედება მოსახლეობაზე, რაც უდავოს ხდის იმას, რომ რეფერენდუმის დროს კენჭისყრა ძალდაუტანებელი იყო, რომ მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ (93 %) გულწრფელად მისცა ხმა საქართველოს დამოუკიდებლობას და რომ რეფერენდუმის შედეგები ჰეშმარიტად გამოხატავს საქართველოს მოსახლეობის აზრს.

დღეს 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის უმაღლეს შედეგს — საქართველოს დამოუკიდებლობას, რომელიც აღდგენილ იქნა 9 აპრილის აქტით — საფრთხე ემუქრება. პირველ ყოვლისა, იგი ემუქრება იურიდიული მხრით ანუ ყოფილი იმპერიისათვის საქართველოს მიმართ სხვადასხვა. უფლებამოსილებათა მინიჭების მხრით, მის სხვადასხვა „სივრცეებში“ — ეკონომიკურში, საბაჟოში, სათავდაცვოში და სხვებში — საქართველოს ჩათრევის ანუ, ნეოკოლონიალისტების და მათი ქართველი მარიონეტების ტერმინოლოგიას თუ ვიხმართ, ყოფილ იმპერიასთან ჩვენი „ინტეგრირების“ („გამთლიანების“) გზით, რაც მთელი რიგი შეთანხმებებით ხორციელდება. ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული ამ იურიდიული საქმიანობის ყველაზე მკვეთრი გამოვლინებებია პარლამენტის კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება СНГ-ს წესდებასთან საქართველოს შეერთების შესახებ, შევარდნაძის მიერ შეთანხმების ხელმოწერა რუსეთისათვის სამხედრო ბაზების გადაცემის შესახებ და შეთანხმება საქართველოში რუსეთის „სამშვიდობო“ ჯარის ამოქმედების შესახებ, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს ნეიტრალიტეტს, დაკანონებულს პარლამენტის მიერ, და მის 1993 წლის 1 ივნისის დადგენილებას. ფაქტობრივი მხრით საქართველოს დამოუკიდებლობის შეგნებული ძირგამოთხრა ხორციელდება ქვეყნის ეკონომიკური, სტრატეგიული და მორალური ნგრევის პოლიტიკის ფორმით, რომლის მიზანიცაა საქართველოს რუსეთისადმი დაქვემდებარების გარდუვალობის შექმნა. უკვე რამდენიმე წელიწადია ტარდება — და მოსალოდნელია, რომ კვლავაც გატარდეს — იმგვარი ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის შედეგადაც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის კვება ფიზიოლოგიურ მინიმუმზე დაბლა დგას თავისი კალორიულობით, მოსახლეობა განიცდის ენერგეტიკულ შიმშილს, ხდება ქართველობის მასობრივი ემიგრაცია თავისი ქვეყნიდან, რაც ჩვენს ისტორიას არ მოსწრებია, და ჩამოყალიბდა მასობრივი საექსპორტო პროსტიტუცია, რომლისგანაც ჩვენს ერს ყოველთვის თავი დაზღვეული ეგონა. აღნიშნულ პირობებში, ბუნებრივია, დათრგუნულია მოსახლეობის თავისუფლებისაკენ მიმართული ნება და შესაძლებელი ხდება პარლამენტის და პრეზიდენტის მიერ საქართველოს საწინააღმდეგოდ მიმართული ისტორიულმასშტაბიანი ნაბიჯების გადადგმა ისე, რომ ამას ერის მხრიდან წინააღმდეგობა არ შეჰხვდეს.

საქართველოს სამხედრო წარუმატებლობაში, რომელიც კმარა იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის თითქმის მთელი სამხედრო მანქანის ხელმძღვანელობა და თითქმის მთელი სარდლობა უმძიმეს პასუხისგებაში მიეცეს, შეთავსებულია ორივე ზემოხსენებული მიზეზი: ქვეყნის ინტერესთა იურიდიული ორგულობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ხელისუფლება ხელს აფარებს აგრესორს და ქართველთა გენოციდის ჰეშმარიტ ორგანიზატორსა და მხარდამჭერს — რუსეთის სამხედრო მანქანას და დიპლომატიას, — რითაც მათ უადვილებს ქართველთა სისხლისღვრისა და საქართველოს მიწის ოკუპაციის გაგრძელებას, და ქვეყნის სამხედრო ინტერესთა ფაქტობრივი (პრაქტიკული) მტრობა, რაც შეუსაბამო სარდლობაში, ჯარის შენებისა და დისციპლინის საანბანო წესთა არშესრულებაში, კორუფციის უსაზღვრო გავრცელებაში გამოიხატება. საქართველოს სამხედრო დამარცხებაში დღემდე ერთ-ერთი ძირითადი როლი ითამაშა საქართველოს ეროვნული მთლიანობის შესუსტებისა და რღვევისაკენ მიმართულმა ქმედითმა ნაბიჯებმაც დასავლეთ საქართველოში სამარცხვინო „ლაშქრობების“ სახით, რაშიც აგრეთვე ვერ გამოვრიცხავთ ხელისუფალთა ბოროტ ნებას.

დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ახალი შემოტევა იწყება. რუსეთის დუმის შავრაზმული გადაწყვეტილება სსრკ გამაუქმებელ დოკუმენტებზე რუსეთის თანხმობის გაუქმების შესახებ, თავისი იურიდიული გაუმართაობის მიუხედავად, მაინც უაღრესად საზიფათო პოლიტიკური სიახლეა, რომელმაც შესაძლებელი რუსეთის სამხედრო მანქანის და მისი დიპლომატიური შესაძლებლობების ახალი მიმართულებით ამოქმედება გამოიწვიოს. საბჭოთა კავშირი არ აღდგება და ისტორიის სანაგვეზე გადაგდებული რუსული იმპერია არ გაცოცხლდება. მაგრამ შესაძლებელია, რომ დასავლეთმა, რომელიც დღეს მსოფლიოს პოლიტიკურსა და გეოპოლიტიკურ პროცესებს ცალსახად მართავს, კიდევ ერთხელ გვერდზე გადასდოს ჩვენი ქვეყნის ინტერესი და, აღმოსავლეთ ევროპაში მისაღწევი რადიკალური სასიკეთო ძვრების ფონზე, ჩვენი რეგიონი ცოტა ხნით — არა კიდევ ერთი ისტორიული ციცლკლით, არამედ სულ 2-3 წლით — კვლავ ბოროტების იმპერიის სათარეშოდ მიატოვოს. ეს, ვიმეორებ, ალბათ არ მოხდება, მაგრამ ეს შესაძლებელია. ამ ვითარებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება საქართველოს ხელისუფლების პოზიციას, რომელსაც შეუძლია, ერთის მხრივ, გადაულახავი პოლიტიკური ზღუდე დაუდოს მტრის აგრესიის ესკალაციას საერთაშორისო ტრიბუნებზე ჩვენი ნების მკაფიო სისტემატური გაცხადებისა და რუსეთთან მტკიცე დიპლომატიური ენის გამოყენების გზით, რითაც იგი არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ღირსებასა და თავისუფლებას იხსნის, არამედ მის შვილთა სისხლსაც დაზოგავს. მეორე მხრივ, მარიონეტთა წესისამებრ, მას შეუძლია კიდევ ერთხელ ფეხქვეშ გაეგოს კომუნისტურ იმპერიალიზმს და საქართველოს კიდევ ერთხელ, ორჯონიკიძის, ღოღობერიძის და მათ მსგავსთა ხროვასავით, რომელიც საქართველოში დღეს მხოლოდ ზიზღს იწვევს, სისხლიანი მონობის უღელი დაადგას. ჩვენ, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი პარტიები და პიროვნებები, ჩვენი სამწუხარო გამოცდილების საფუძველზე, საქართველოს დღევანდელი ადმინისტრაციისაგან მოქმედების მხოლოდ ამ მეორე ხაზს მოველით. მაგრამ ამავე დროს ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხელისუფლების შეცვლის არავითარი სხვა ფორმა, გარდა კანონიერისა არჩევნების გზით, მისაღები არაა. ამგვარად, ჩვენ ჩიხში ვართ და ამ ჩიხიდან მხოლოდ შემდეგ გამოსავალს ვხედავთ: ეროვნულ-გამათავისუფლებელმა ძალებმა, ქართველმა ინტელექტუალურმა და სულიერმა ელიტამ უნდა უმოკლეს დროში შექმნას ერის მიერ თავისი თავის რეგულირების მექანიზმები ცხოვრების ყველა ძირითად სფეროში, სამხედრო და წესრიგდამცველი კადრის, ეკონომისტი კადრის, ადმინისტრაციული კადრის შექმნის ჩათვლით, რათა პრობლემა აღარ იყოს, ვისით შეიცვლება დღევანდელი ორგული და კორუმპირებული ადმინისტრაცია ასპარეზიდან მისი წასვლისთანავე. ამ მექანიზმების შექმნას დიდი შრომა უნდა და ასჯერ უფრო მეტი — გამბედაობა და თავდადება. რაც შეეხება ორგული კორუმპირებული ადმინისტრაციის წასვლას, მის საუკეთესო ფორმად ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გვესახება.

თურქეთში აფიორიტ ცნობილი ფირმები ბაზალეთზე თურქულ უნივერსიტეტს გვიშენებენ (!)..

პირველი გვერდიდან

ახალშენი იქნება...

ბუნებრივია ამან მწვავე რეაქცია გამოიწვია.

სხდომაზე გამოსულმა დეპუტატმა მალხაზ ბარამიძემ დაწვრილებითი ინფორმაცია გაუკეთა შეკრებილთ თუ რა და როგორ მოხდა. კერძოდ, მისი მონათხრობის მიხედვით გაირკვა, რომ ჯერ კიდევ 1993 წელს სამთავრობათაშორისო და საპარლამენტთაშორისო მოლაპარაკებით უნდა გახსნილიყო შავიზღვისპირეთის ქვეყნების უნივერსიტეტი, რომლის ორგანიზება ითავა ქართულმა მხარემ, თურქებმა კი ამ საქმისათვის 50 მილიონი კრედიტის გამოყოფა ითავეს, თუკი ქართული მხარე იქნებოდა ორგანიზატორი.

ეს უნივერსიტეტი იქნებოდა შემდეგი სახის: გაიხსნებოდა საქართველოში, 50% იქნებოდა ქართველი, დანარჩენი 50 % სტუდენტებისა კი იქნებოდნენ შავიზღვისპირეთის დანარჩენი 10 ქვეყნის წარმომადგენლები.

შავიზღვისპირეთის ქვეყნების უნივერსიტეტი 1994 წელს მართლაც გაიხსნა, ოღონდ ბუქარესტში...

მაშ რა უნივერსიტეტი იხსნება ბაზალეთზე?

მას სახელად ჰქვია შავიზღვისპირეთის ქვეყნების უნივერსიტეტი, სინამდვილეში იგი თურქული გახლავთ და ამასვე წერენ თურქული გაზეთები, როგორც ეს თავის ვრცელ და შინაარსიან გამოსვლაში აღნიშნა თურქოლოგმა, თსუ დეკანმა ქალბატონმა ირინა გოცირიძემ.

ამიერიდან თურქეთში მოფუსფუსე ჩვენს ფეხმსუბუქ ქალბატონებს სტამბულში ცუნცული აღარ მოუწევთ. მათ დოლარების გაკეთება თბილისიდან სულ რამდენიმე კილომეტრში, ბაზალეთის ტბასთან შეეძლებათ, თუმცა, როგორც მეცნიერების წარმომადგენლების მწვავე და ემოციური გამოსვლებიდან ჩანს, ამ იდეის განხორციელებას ალბათ კეთილი ბოლო არ უწერია.

თურქული უნივერსიტეტი არანაირ ეკონომიურ მოგებას არ იძლევა სახელმწიფოსთვის, მის სათავეში კი ისლამის ფუნდამენტალისტები დგანან, თავად მკითხველმა განსაჯოს, თუ რისთვის სჭირდება ასეთი უნივერსიტეტის მშენებლობა თურქეთს საქართველოში. ამასთან, ქართველ პარტნიორთა შორის არც მთლად უანგარობა ჩანს საკუთარი ჯიბის შევსების თვალსაზრისით.

გამომსვლელები ერთხმად ითხოვდნენ იმ პირთა სასამართლოსთვის გადაცემას, რომელთაც ერისათვის ესოდენ საზიანო ნაბიჯი გადადგეს. ითხოვდნენ, ცხადია, ამ უნივერსიტეტის ლიცენზიის გაუქმებას.

როგორც ერთ-ერთმა მეცნიერმა „საქართველოს“ კორესპონდენტთან კერძო საუბარში განაცხადა, თურქულ მხარეს მრავალმნიშვნელოვნად უთქვამს: „ძაღლი ყეფს, ქარავანი კი მიდისო“...

ჯერჯერობით ჩვენი მისამართით ეს ანდაზა მართლდება, ვნახოთ რას მოგვიტანს მომავალი, იმედია სახელმწიფო ჩინოვნიკები ვერ აღუდგებიან წინ ქართულ საზოგადოებრივ აზრს და ისიც გაირკვევა, ვის ინტერესებში შედიოდა 99 წლით ქართული მიწის თითქმის გაჩუქება და უცხო ქვეყნის სასწავლებლის აქ დაარსება. მსოფლიოში არ არსებობს ცივილიზებული ქვეყანა, სადაც ერთ სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოში თავისი უნივერსიტეტი ჰქონდეს გახსნილი, ერთადერთნი ჩვენ, ქართველები ვართ პიონერები ამ სიგლახეშიც.

ჰომოსექსუალისტები ყველა ქვეყნისა ერთდებიან ვაგზლის მოედანზე

პირველი გვერდიდან

თბილისში არსებობს ღამის ბარები, სადაც ღამის ოთხ საათზე შეგიძლიათ იხილოთ ნახევრადშიშველი ასეულობით ახუნტრუცებული ახალგაზრდა ბიჭი და გოგო 9 წლიდან 18 წლის ასაკამდე. ესენი შედარებით მაღალი კატეგორიის მოზარდები არიან, რომელთა დედიკოებსა და მამიკოებს იმ დროს მშვიდად სძინავთ თავიანთ ოჯახებში, ვინაიდან ბავშვებს „კარგად“ ცხოვრებას არ უშლიან...

არსად ამ ქვეყანაზე იმდენი მეძავი არ არის, რამდენიც თბილისში...

არსად ამ ქვეყანაზე იმდენი ნარკომანი არ არის, რამდენიც თბილისში...

არსად ამ ქვეყანაზე იმდენი ვენერიულად დასნეულებული ადამიანი არ არის, რამდენიც თბილისში...

არსად ამ ქვეყანაზე მეძავთა იმ რაოდენობის ექსპორტი არ შეიმჩნევა, რამდენიც საქართველოდან საზღვარგარეთ გაედინება ჩვენი მამულის სასახელოდ...

ეს არ არის გადაჭარბებული და ყურით მოთრეული ამბები, ყველა ამ წინადადების უკან კონკრეტული ფაქტების წყება დგას, რომელსაც დაგიდასტურებენ ქალაქის სამართალდამცავი ორგანოები.

ამ უბედურებებს კი დაემატა კიდევ ერთი საშინელება, თბილისი ჰომოსექსუალისტებით გაივსო...

ხუმრობენ: ადრე ორი ჰომოსექსუალისტი იყო პლეხანოვზე შემჩნეული და მთელი საქართველოს „გაჭირვებულებს“ ისინი აკმაყოფილებდნენო, ახლა ისე იბარტყეს ამ ოხრებმა, კაცი რომ კაცს შემოგხედავს თვალებში, თვალი უნდა მოარიდო „იმნაირად“ არ მიყურებდესო...

ადრე იმალებოდნენ მაინც და თავიანთი სამარცხვინო ვნებანი სააშკარაოზე ვერ გამოჰქონდათ, ახლა დღისით — მზისით, არც მეტი არც ნაკლები ქორწილებს იხდიან...

მავანის და მავანის ვაჟიშვილი გათხოვდაო, ისე ლაპარაკობს კაცი, საუბარს გაკვირვების გრძნობაც რომ აღარ ახლავს.

ჩაიცვა ვიღაც მუდრეგმა „ჩულქები“, კაბა, „ტრიკო“, გაიკეთა საყურეები, წაისვა პომადა და საქორწინო სუფრაზე მიუჯდა მეორე მუდრეგს პატარძლად...

ამაზე ცხონებული ზაალ ბარათაშვილი იტყოდა, ამისთანა ამბავი გაგიგიათ, ვეჟო?

გაგებით როგორ არ გაგვიგია. ამისთანა ამბები ძველ საბერძნეთშიც ხდებოდა, ძველ სპარსეთშიც, მაგრამ ძველ საქართველოში კი მართლაც გაუგონარ ამბად ითვლებოდა.

პათოლოგი და ავადმყოფი ჩვენშიც ჰყავდა ყოველ დროს, მაგრამ გაზეთში სტატიას დაწერდნენ კი არა, ჰომოსექსუალისტების ლეგალიზაციის მოთხოვნით, როგორც ეს ახლახან გააკეთა ერთმა რეგვენმა, არამედ თავს ერთობ უბედურ რაღაცაში აყოფინებდნენ.

კერძოდ, ერეკლე მეფის დროს რამდენიმე ჰომოსექსუალისტი შემოთრეულა თბილისში. მეფეს ბრძანება გაუცია, ვინც ამ საქმეში იქნება შემჩნეული, ათქვეფილ განავლის კასრში ჩააგდეთო. დადგამდნენ ამ კასრს მტკვრის პირას, ჩააგდებდნენ შიგ მამათმავალს და სასამართლო გადაუწყვეტდა 10-ჯერ, 20-ჯერ და ა.შ. თავის მოჭრას.

ხმლის ყოველ მოქნევაზე „მსხვერპლი“ თავს ყოფდა განავლით სავსე კასრში, რათა წაწყვეტისაგან გადაერჩინა და ამგვარად ფეკალურ სითხეში „განბანილს“ ბოლოს თავის კასრიანად მტკვარში აგდებდნენ...

დღეს კი, როგორც ვთქვით, ამ ჯურის ადამიანები დღისით-მზისით ქორწილებს აწყობენ.

დღეს კი ვაგზლის მოედანი მამათმავალთა შეკრების ცენტრად იქცა.

დგანან 17-18 წლის მამათმავლები ვაგზლის მოედანზე და ყოველ საღამოს ახალ-ახალი სიამოვნებებისათვის ემზადებიან...

ერეკლესდროინდელი დასჯის მეთოდით თუ არა, რაღაც საშუალებით ეს უბედურებები უნდა აღიკვეთოს თბილისში, საქართველოს სატახტო ქალაქში, რომელსაც უჩვეულო უზნეობას ახვევს თავს ძირითადად უცხოტომელთა კასტა...

... მათ ხელყუმბარებიც კი იხმარეს ჩვენი თანამშრომლების წინააღმდეგ

მიწისქვეშა ტრანსპორტი — ასე შეიძლება ვუწოდოთ თბილისის მეტროპოლიტენს, რომელიც მალე იზეიმებს ექსპლოატაციაში შესვლის 30 წლისთავს. სულ ცოტა ხნის წინათ თბილისის მეტროპოლიტენი იყო ქალაქის მთავარი სატრანსპორტო არტერია, რადგანაც შეფერხებით მოძრაობდა და ხანდახან სულაც გაჩერებული იყო მიწისზედა ტრანსპორტი, ასეთ ვითარებაში უამრავი ხალხი აწყდებოდა სადგურებს, იყო ერთი ამბავი: ჩოჩქოლი, ერთმანეთის შეურაცხყოფა, მემანქანეებისა და პოლიციელების აუგად მოხსენიება, იყო სხვა ფაქტებიც. ამას ისიც ემატებოდა, რომ ელექტროენერგიის კრიზისის გამო ხშირად ჩერდებოდა მეტროპოლიტენი, რასაც დღესაც აქვს ადგილი.

დღესდღეობით იკლო ამდაგვარმა შემთხვევებმა, განმტკიცდა საზოგადოებრივი წესრიგი, იშვიათობად იქცა თამბაქოს მოწევა, უსაქმურთა ბირჟები, იკლო მეტროპოლიტენში ნასვამ მოქალაქეთა მოხვედრის შემთხვევებმა.

ასეთ პრობლემატურ საკითხებზე გავესაუბრეთ ქ.თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს მეტროპოლიტენის პოლიციის უფროსს, პოლიციის პოლკოვნიკ ბ-ნ ჰამლეტ კობეშავიძეს.

ბატონო ჰამლეტ, კონკრეტულად რა ფაქტებს და დარღვევებს ჰქონდა ადგილი მეტროპოლიტენის მუშაობის პროცესში დღევანდელ დღემდე და როგორ მოხერხდა ამ პრობლემათა დაძლევა?

— მოგეხსენებათ ის ფაქტი, რომ არც ისე დიდი ხნის წინათ მეტროპოლიტენის მუშაობა ძალზედ რთული იყო, ეს დაკავშირებული გახლდათ მიწისზედა ტრანსპორტის გაჩერებასთან, რის შედეგადაც თბილისის მოსახლეობა მასიურად მოაწყდა მეტროპოლიტენს და ათეულ-ათასობით მგზავრთა გადაყვანა გვიხდებოდა, ამას ემატებოდა ის, რომ მეტროპოლიტენის მუშაობა პარალიზებული იყო ელექტროენერგიის უქონლობის გამო.

დათარეშობდნენ სამხედრო ფორმებში გამოწყობილი პიროვნებები, არ ერიდებოდნენ მემანქანეთა და პოლიციელთა შეურაცხყოფას, მათ ხელყუმბარაც კი იხმარეს ჩვენი თანამშრომლების მიმართ, რის შედეგადაც დაგვეღუპა ახალგაზრდა პოლიციელი ლერი სტურუა, რამდენიმე თანამშრომელი დაჭრილი და დასახიჩრებული იქნა. ამ ხალხის მიმართ დავიწყეთ შეურიგებელი ბრძოლა. იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით ჩვენს განყოფილებასაც დაესხნენ თავს, რის შედეგადაც 2 შეიარაღებული პირი აქვე იქნა ლიკვიდირებული.

დღეისათვის რესპუბლიკაში შეიმჩნევა სტაბილურობა, დისციპლინის ამაღლება და ამან თავისებური გავლენა იქონია მეტროპოლიტენის მუშაობაზე, რის შედეგადაც აღარ შეიმჩნევა მეტროპოლიტენის მომსახურე პერსონალის შეურაცხყოფა.

ყოველივე ამას ხელი შეუწყო ქალაქის მერიის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა: საჯარიმო სახდელების შემოღებამ, რის შედეგადაც დამყარდა წესრიგი.

როგორ ხდება კადრების შერჩევა?

— პირველ საკითხად იქნა წამოწეული კადრების მუშაობის სრულყოფა, პროფესიული დაოსტატებისათვის ტარდება მეცადინეობები. მეტროპოლიტენი სპეციფიური დანაყოფია, ყველას არ შეუძლია აქ მუშაობა, სტაჟირების ვადა ერთიდან ორ თვემდეა.

შეიმჩნევა თუ არა მგზავრთა მხრიდან უფასოდ მგზავრობის მცდელობა?

— დიახ, არის ასეთი შემთხვევებიც, თუმცა დღეისათვის შეიძლება ითქვას — იშვიათად. მაგრამ მოქალაქეთა მხრიდან შეიმჩნევა ქსეროქსზე გამრავლებული ყალბი სამგზავრო ბილეთების გამოყენება, რის საფუძველზეც დაისჯებიან კანონის მთელი სიმკაცრით.

რას გვეტყვით მეტროპოლიტენში მომრავლებულ მაწანწალა ბავშვებზე?

— მართალია, დღესდღეობით მომრავლდნენ არასრულწლოვანი, მათხოვარი ბავშვები, და გასაგებია, რომ ყოველივე.ეს მოიტანა დღევანდელმა ეკონომიურმა მდგომარეობამ. ზოგიერთი მოქალაქისათვის შეიძლება არ იყოს ცნობილი ის ფაქტი, რომ არსებობენ სპეციალური ჯგუფები, რომლებიც მცირეწლოვან ბავშვებს ამათხოვრებენ და ხელს ითბობენ მათი უსუსურობით.

მამასისხლის ფასად გვიჯდება ამ ბავშვების გადაყვანა მიმღებ გამანაწილებელში, სადაც მათი ფილტრაცია ხდება და ზოგიერთი პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად ბავშვთა სახლებში მიჰყავთ. ამ ქმედებაში ხელს გვიშლის ზოგიერთი მგზავრი, რომლებიც პირდაპირ ხელიდან გვტაცებენ ამ ბავშვებს, თითქოს ჩვენ ჯალათები ვიყოთ.

როგორც მოგეხსენებათ, თბილისში აიკრძალა გარე ვაჭრობა, რომელიც მეტროპოლიტენის მისადგომებთან მიმდინარეობდა, დღეისათვის როგორი მდგომარეობაა?

— რასაკვირველია, შეიმჩნევა მეტროპოლიტენის მისადგომებთან მოვაჭრენი, რის მიმართაც ვართ დაუნდობელნი და ვატარებთ სათანადო ღონისძიებებს.

დაბოლოს, მოსახლეობის საყურადღებოდ მინდა ვთქვა, რომ მეტროპოლიტენი — ეს არის უნიკალური ნაგებობა და მას თვალისჩინივით უნდა გაფრთხილება.

ესაუბრა ია ბუკოვსკაია

უცხოეთი

კლინტონი გაიმარჯვებს «ბუშის ფეხებით»

მშვიდობის ამრეკი გახდა გაზეთი „ვაშინგტონ თაიმსი“, რომელსაც ხელში ჩაუვარდა აშშ-სა და რუსეთის პირველი პირების საუბრის საიდუმლო ჩანაწერები რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებზე. მოქმედების ადგილი — ანტიტერორისტული სამიტი ეგვიპტეში, მოქმედი პირები: აშშ-ს პრეზიდენტი კლინტონი, რუსეთის პრეზიდენტი ელცინი.

საიდუმლო მეზორანდუმის თანახმად, საუბარი ეხებოდა მომავალ არჩევნებს. პრეზიდენტმა ელცინმა თითქოს განაცხადა, რომ ისეთი საერთაშორისო მნიშვნელობის ხელმძღვანელი, როგორიც კლინტონია, მხარს უნდა უჭერდეს რუსეთს, რაც ელცინისთვის მხარის დაჭერას ნიშნავს.

თეთრი სახლის მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ მხარეებმა არ უნდა გადადგან ისეთი ნაბიჯი, რაც დაზარალებს ორმხრივ ურთიერთობებს. ამ კონტექსტში გაჟღერდა კითხვა აშშ-დან რუსეთში მეფრინველეობის პროდუქტების მოწოდების თაობაზე, რასაც ხალხში „ბუშის ფეხებს“ უწოდებენ.

გაუგებრობა „ბუშის ფეხებზე“ უნდა მოგვარდეს გორ-ჩერნომირდინის კომისიის ხელმძღვანელობის დონეზე, ხაზგასმულია „ვაშინგტონ თაიმსის“ შეტყობინებაში, რომელიც აღნიშნავს, რომ გაზეთის მიერ მიღებული მემორანდუმი ეკუთვნის სახელმწიფო მდივანს მოადგილეს სტროუბ ტელბოტს და მიმართულია მოსკოვში აშშ-ს ელჩის თომას პიკერინგისა და ყოფილი სსრკ-ს საკითხების სახელმწიფო დეპარტამენტის მაღლამდგომი თანამშრომლის ჯეიმს კოლინზისადმი. საიდუმლო მასალა აშკარად არ იყო ბეჭდვისათვის განსაზღვრული.

კლინტონის მზრუნველობას 700 მილიონი დოლარის „ბუშის ფეხების“ მიწოდებაზე „ვაშინგტონ თაიმსი“ იმით ხსნის, რომ ექსპორტის მესამედი მოდის პრეზიდენტის მშობლიური შტატიდან — არკანზასიდან, ხოლო ძირითადი მომწოდებელია „ტაისონ ფუდ ინქ“, რომლის მეპატრონე დონ ტაისონმა თავის დროზე ბევრი გაიკეთა კლინტონის საპრეზიდენტო კამპანიის წარმატებისათვის ფინანსური თვალსაზრისით.

გაზეთის მონაცემებით, ეგვიპტეში ელცინსა და კლინტონს შორის ამ სამახსოვრო შეხვედრაზე იმყოფებოდნენ ამერიკის მხრიდან: კრისტოფერი, ცსს-ს დირექტორი დეიჩი, მრჩეველი ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში ლეიკი. რუსეთის მხრიდან — პრიმაკოვი, ბარსუკოვი და კიდევ ორნი.

როგორც კი აშშ-ში გაჩნდა ინფორმაცია ბილ კლინტონის მოლაპარაკებებზე, ენტონი ლეიკს დაევალა ეხელმძღვანელა გამოძიებისათვის კონფიდენციალური ინფორმაციის გაჟონვის საქმეზე. ამ საკითხით ამჟამად გფბ-ა დაკავებული.

გაზეთი „ვაშინგტონ თაიმსი“ ახსენებს მკითხველს, რომ აშშ—ს ვიცე-პრეზიდენტმა ა.გორმა განაცხადა რუსეთის მხრიდან აშშ-დან ქათმის მოწოდებაზე ემბარგოს მოხსნის თაობაზე.

საქართველო დემოგრაფიულ სარკეში

რამდენი ვიყავით, რამდენი ვართ

მესამე გვერდიდან

მოსახლეობა 5 მილიონზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო, სინამდვილეში კი დაახლოებით 800 ათასი კაცი შეადგინა; ე.ი. XIII—XVIII საუკუნეებში ჩვენს სამშობლოს მტერთა შემოსევის შედეგად 4,2 მილიონი პოტენციური მცხოვრები დაიკარგა.

XIX საუკუნის საქართველოს მოსახლეობის ზრდაში ბუნებრივ მატებასთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მიგრაციული მატება. ამ პერიოდში რუსეთი დემოგრაფიული ანექსიის მიზნით საქართველოში ასახლებდა მოსახლეობას რუსეთიდან, ირანიდან, თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. აღნიშნული დემოგრაფიული ექსპანსიის შედეგად მკვეთრად შეიცვალა საქართველოს „დემოგრაფიული" სურათი. თუ 1800 წლისათვის ქართველების ხვედრითი წილი საქართველოს მთლიან მოსახლეობაში 89% აღწევდა, მოსახლეობის 1897 წლის აღწერით 69 %-მდე შემცირდა. მთელი XIX საუკუნის მანძილზე საქართველო მილიონზე მეტი მცხოვრებით გაიზარდა და 1897 წელს 1894 ათასი კაცი შეადგინა.

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს მოსახლეობა ასევე განაგრძობს ზრდას, რომელიც შეაფერხა პირველმა მსოფლიო ომმა.

1897-1913 წლებში საქართველოს მოსახლეობა 707 ათასი მცხოვრებით გაიზარდა, ამის შემდგომ კლებას აქვს ადგილი, 1913-1917 წლებში საქართველოს მოსახლეობა 263 ათასი კაცით შემცირდა, რომლიდანაც ჩვენი შეფასებით 102 ათასი მოდის ამ პერიოდში შობადობის დონის შემცირებაზე, ხოლო 161 ათასი ფრონტზე დანაკარგებსა და მოკვდაობის ზრდაზე მშვიდობიან მოსახლეობაში. 1917 წლიდან იწყება საქართველოს მოსახლეობის ზრდა დაბალი ტემპებით. საქართველოს 1913 წლის მოსახლეობის რიცხოვნობა აღდგა 1925 წლისთვის.

მეოცე საუკუნის მეორე მეოთხედში საქართველოს მოსახლეობა ინტენსიურად იზრდება, რამაც 1926-1940 წლებში 935 ათასი კაცი შეადგინა. ასეთი მასშტაბის ზრდას ადგილი ჰქონდა საქართველოს ფარგლებს გარედან მოსახლეობის ინტენსიური ჩამოსახლების შედეგად, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოს ინდუსტრიალიზაციის საფარქვეშ. მიგრანტთა დიდი ნაწილი მოდიოდა რუსეთზე, ამიტომ რუსი მოსახლეობის ხვედრითი წილი საქართველოს მოსახლეობაში 1926-1939 წლებში 3,6 %-იდან 8,7%-მდე გაიზარდა, მაშინ როდესაც ქართველების ხვედრი წილი 67,1%-დან 61,4%-მდე შემცირდა, აფხაზებისა — 2,2%-იდან 1,6%-მდე, ხოლო ოსების, აზერბაიჯანელებისა და სომხების ხვედრითი წილი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით აუცილებელ აღნიშვნას მოითხოვს შემდეგი გარემოება: მოსახლეობის მიგრაციის მეცნიერული შესწავლის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ადამიანები მიგრირებენ იმ ტერიტორიაზე, სადაც ცხოვრების მაღალი დონეა ძველ საცხოვრებელთან შედარებით. შესაბამისი ანალიზით აღმოჩნდა, რომ იმ პერიოდში ცხოვრების დონე რუსეთში გაცილებით მაღალი იყო საქართველოსთან შედარებით. ცხოვრების დონისა და ეკონომიკური განვითარების ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა ერთ სულზე გაანგარიშებით, შემდეგ სურათს იძლევა: 1913 წლისათვის ერთ მცხოვრებზე საქართველოში მოდიოდა 21 მანეთის მრეწველობის პროდუქცია, რუსეთში — 32 მანეთის; 1940 წლისათვის კი შესაბამისად, საქართველოში — 156 მანეთის, რუსეთში 233 მანეთის. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა ერთ სულზე გაანგარიშებით 1913 წელს საქართველოში აღწევდა 69 მანეთს, რუსეთში — 210 მანეთს, 1940 წლისათვის კი შესაბამისად — 125 მანეთსა და 216 მანეთს. მაშინ რით უნდა აიხსნას ცხოვრების მაღალი დონის მქონე რუსეთიდან ცხოვრების დაბალი დონის მქონე საქართველოში მოსახლეობის ასეთი ინტენსიური მოზიდვა? საქართველოს უკეთესი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით? საქართველოს დღევანდელ მაგალითზე ცხადად ჩანს, რომ ეს ფაქტორი არავითარ როლს არ თამაშობს. ჩანს, რომ ჩამოსახლებული მოსახლეობისათვის ხელოვნურად იქმნებოდა წამოსვლის ადგილთან შედარებით ცხოვრების უკეთესი პირობები.

1941 წელს საქართველოში 3690 ათასი კაცი ცხოვრობდა. მეორე მსოფლიო ომმა საქართველოს უდიდესი დემოგრაფიული დანაკარგები მიაყენა, მაგრამ, როგორც წესი, ომების დამთავრების შემდეგ შობადობის დონე იზრდება, რითაც ადგილი აქვს ომის დანაკარგების კომპენსაციას, მაგრამ საქართველოში ეს არ მომხდარა. რამდენადაც ქართულ სტატისტიკურ-დემოგრაფიულ კრებულებში არ გაგვაჩნია მონაცემები 1942-1949 წლების მოსახლეობის რიცხოვნობისა და ბუნებრივი მოძრაობის შესახებ, ამიტომ ვსარგებლობთ მოსახლეობის 1959 წლის აღწერის მონაცემებით, რომლის მიხედვითაც ომის წლებში დაბადებულმა ხაობამ შეადგინა 336 ათასი კაცი, ხოლო ომის შემდგომ, 1945-1949 წლებში დაბადებულებმა — 316 ათასი, ე.ი. ომის წლებში დაბადებულებზე 20 ათასით ნაკლები, რაც პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია. ამიტომ ომის შემდგომ რამდენიმე წელს განვიხილავთ როგორც ომის დემოგრაფიული გავლენის გაგრძელებას და მისგან მოსახლეობის დანაკარგებს ვითვლით 1941-1950 წლებში. კერძოდ, 1940 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ შეადგინა 68 ათასი კაცი. თუ აღნიშნულ ბუნებრივ მატებას უცვლელად მივიღებთ 1941-1950 წლებში, მაშინ საქართველოს მოსახლეობა მხოლოდ ამ ფაქტორის გავლენით, მიგრაციის გარეშე, უნდა გაზრდილიყო 680 ათასი კაცით და 1950 წლისათვის უნდა მიეღწია 4370 ათასისათვის, მაგრამ სინამდვილეში მიაღწია 3494 ათასს, ე.ი. საქართველოს მოსახლეობის დანაკარგებმა 1941-1950 წლებში შეადგინა 876 ათასი კაცი, რომელთაგან 300 ათასი მოდის ფრონტზე დაღუპულებზე, ხოლო 576 ათასი მოცემულ პერიოდში შობადობის შემცირებასა და მოკვდაობის დონის ზრდაზე. ომამდელი მოსახლეობის რიცხოვნობა საქართველომ აღიდგინა 1953 წელს.

საქართველოს მოსახლეობის ზრდაში საგარეო მიგრაცია დადებით როლს თამაშობდა 1956 წლამდე. ამის შემდგომ საქართველოდან მოსახლეობის გასვლა ჭარბობს შემოსვლას და გარემიგრაცია მოსახლეობის ზრდის შემაფერხებელ ფაქტორად გვევლინება. აღნიშნული წლიდან საქართველოს მოსახლეობა იზრდება მხოლოდ ბუნებრივი მატების ხარჯზე, რითაც იგი არსებითად განსხვავდება ჩვენთვის ცნობილი წინა დემოგრაფიული ისტორიისაგან. წასულებში ძირითადად წარმოდგენილია არაქართველი მოსახლეობა, რამაც შესაბამისი სტრუქტურული ძვრები გამოიწვია მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში. კერძოდ, 1959—1989 წლების აღწერების მონაცემებით, ქართველების ხვედრითი წილი საქართველოს მოსახლეობაში 64 %-დან 70%-მდე გაიზარდა, მაშინ როდესაც სომეხი მოსახლეობის ხვედრითი წილი 11%-დან 8%-მდე შემცირდა, რუსებისა — 10%-დან 6%-მდე და ა.შ. ამის საპირისპიროდ, აზერბაიჯანელების ხვედრი წილი ამავე პერიოდში 3,8%-დან 5,7 %-მდე გაიზარდა.

საქართველოში მოსახლეობის შემოსვლის შემცირების მიზეზად ქართველი დემოგრაფები თვლიან იმ გარემოებას, რომ ომის შემდგომ მოხდა საქართველოს სოფლის მოსახლეობის ომამდელ პერიოდთან შედარებით თითქმის ორჯერ ინტენსიური გადასვლა ქალაქებში საცხოვრებლად. იმავდროულად, შესუსტდა საქართველოს ომისშემდგომი ეკონომიკური განვითარების ტემპები, რამაც შეასუსტა მოთხოვნა გარედან შემოყვანილ მუშახელზე, ხოლო არსებული მოთხოვნა სამუშაო ძალაზე საშინაო რესურსებით კმაყოფილდებოდა. 1956-1991 წლებში მოსახლეობის საგარეო მიგრაციის უარყოფითი სალდოს სახით საქართველომ დაკარგა 402,3 ათასი მცხოვრები, რომელთაგან დაახლოებით 70 ათასი ქართველი იყო.

1991 წლისათვის საქართველოში ცხოვრობდა 5464 ათასი კაცი. ამის შემდეგ საქართველოში შექმნილ მეტად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას მოჰყვა ასევე უკიდურესად მძიმე დემოგრაფიული შედეგები, რაც მოსახლეობის რიცხოვნობის სისტემატიურ შემცირებაში გამოიხატა. 1995 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა 5407 ათასამდე შემცირდა. აღნიშნული ფაქტი თხოულობს შედარებით დეტალურ განხილვას.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს შობადობის დონის კატასტროფული დაცემა, რომელიც მოსახლეობის მარტივი აღწარმოების მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს. შობადობის შემცირებას 1992-1994 წლებში შედეგად მოჰყვა 53 ათასით ნაკლები ბავშვის დაბადება, ვიდრე უნდა დაბადებულიყო მანამდე არსებული ცხოვრების პირობების შენარჩუნების შემთხვევაში. შექმნილმა მძიმე ვითარებამ იმოქმედა ქორწინებაზეც. 1994 წლისთვის მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე მოდიოდა 3,8 ქორწინება. ეს ქორწინების ერთ-ერთი ყველაზე დაბალი დონეა მსოფლიოში. 1992-1994 წლებში საქართველოში მოხდა 20 ათასით ნაკლები ქორწინება, ვიდრე დემოგრაფიული განვითარების ნორმალური მსვლელობისას მოხდებოდა. ქორწინების შემცირების შედეგად შობადობის დანაკარგმა აღნიშნულ წლებში 17 ათასი დაბადებული შეადგინა, რითაც შობადობასთან ერთად დანაკარგებმა 70 ათას კაცს მიაღწია.

1992 წლიდან საქართველოში იწყება განქორწინების მნიშვნელოვანი კლება და მან 1994 წელს მოსახლეობის 1000 სულზე გაანგარიშებით 0,5 შეადგინა, რაც ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია მსოფლიოში. ოჯახურ პრობლემებს ევროპის ცნობილი სოციოლოგი, ანიზ ბეკაიას აზრით, განქორწინებათა ელვისებური ნორმალურად აღიქმება ამ ოჯახებში შექმნილი კატასტროფა. ასე ვთქვათ, დღევანდელ მძიმე პირობებში არასტაბილურ ოჯახებშიც კი ცოტას თუ ცხელა განქორწინებისათვის. მაგრამ საქმე ის არის, რომ ხდება ასეთი მდგომარეობის დაგროვება (აკუმულაცია), რომელსაც გარკვეული დროისა და პირობების შემდეგ მოჰყვება განქორწინების მნიშვნელოვანი, აქამდე არნახული მატება.

განხილულ პერიოდში მოხდა მოკვდაობის დონის გარკვეული ზრდა, რაც მნიშვნელოვანწილად გამოიწვია აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტმა. დემოგრაფიული მაჩვენებლების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ აფხაზეთის ომს დაახლოებით 12 ათასამდე მსხვერპლი მოჰყვა.

ცხოვრების პირობების არნახულმა გაუარესებამ გამოიწვია მოსახლეობის ინტენსიური წასვლა საქართველოდან. ოფიციალური სტატისტიკური აღრიცხვით, საქართველოდან წასულების რიცხვმა 1992-1994 წლებში, შემოსულებს გადააჭარბა 104 ათასით, რაც წარმოადგენს დანაკარგს გარემიგრაციის შედეგად. ამ შემთხვევაში ჩვენ ვმსჯელობთ ოფიციალურად აღრიცხულ მიგრანტებზე, ე.ი. მათზე, ვინც ამოეწერა და ისე წავიდა საქართველოდან, ან ჩამოვიდა საქართველოში და ჩაეწერა, რითაც მოხვდა სტატისტიკურ აღრიცხვაში. მაგრამ დღეისათვის საქართველოდან გვაქვს არალეგალური მიგრაციის მნიშვნელოვანი ნაკადი, ანუ ისინი, ვინც სხვადასხვა მიზნით მეტ-ნაკლები დროით წასულნი არიან საქართველოდან და არ ამოწერილან საცხოვრებელი ადგილიდან, ამიტომ ფორმალურად ითვლებიან საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობაში. მოცემული სტატიის ავტორებმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, განსხვავებული მეთოდიკების გამოყენებით (საექსპერტო შეფასებისა და შერჩევითი დემოგრაფიული გამოკვლევის მასალებზე დაყრდნობით) მივიღეთ ფაქტობრივად ერთი და იგივე შედეგი: 1992-1994 წლებში საქართველოდან აღურიცხავად წასულია არანაკლებ 600 ათასი კაცი, ხოლო სინამდვილეში წასულთა რიცხვი ამ ციფრზე რამდენით მეტი შეიძლება იყოს, ძნელი სათქმელია.

და მაინც რამდენი ვართ?

თუ გავითვალისწინებთ 1992-1994 წლებში მოსახლეობის ყველა სახის დანაკარგს, 189 ათასს, მაშინ მისი ჩათვლით საქართველოს მოსახლეობა 1995 წლისთვის უნდა ყოფილიყო 5596 ათასი და არა 5407 ათასი. მეორეს მხრივ, თუ გავითვალისწინებთ ამავე წლებში აღურიცხავად წასულ 600 ათას კაცს, რომლებიც საქართველოს მოსახლეობაში ფორმალურად ირიცხებიან, მივიღებთ, რომ სტატისტიკური აღრიცხვით, 1995 წელს საქართველოში ითვლებოდა 5407 ათასი მცხოვრები, მაგრამ საცხოვრებელ ადგილზე ფაქტობრივად ცხოვრობდა 600 ათასით ნაკლები, ე.ი. არაუმეტეს 4807 ათასი კაცი. ესაა საქართველოს ფაქტობრივი მოსახლეობა 1995 წლისთვის.

და ბოლოს კიდევ ერთხელ ჩამოვთვალოთ ჩვენს მიერ მოძიებული მიახლოებითი მონაცემები საქართველოს მოსახლეობის დანაკარგების შესახებ:

XIII — XVIII საუკუნეები	4200 ათასი,
1913-1917 წლები	263 ათასი,
1941-1950 წლები	876 ათასი,
1956-1991 წლები	402 ათასი,
1992-1994 წლები	189 ათასი,

სულ — 5950 ათასი, ე.ი. ფაქტობრივად 6 მილიონამდე კაცი.

გიორგი ფულაძე

დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.

მერაბ ხმალაძე

დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საინვესტიციო ფონდ «ქართული კაპიტალის» დამფუძნებლებს

ან ჩაგვრიცხეთ თქვენს მონათა სიაში ან მივიღებთ რჯულს სამაჰმადიანოს...

ბატონო რედაქტორო, თქვენი გაზეთის საშუალებით გვინდა მივმართოთ სააქციო საზოგადოება პრივატიზაციის სპეციალიზებული (საბარათო) საინვესტიციო ფონდ „ქართული კაპიტალის" დამფუძნებლებს, წინასწარ გიხდით მადლობას, თუ ამ საჯარო მიმართვის საშუალებას მოგვცემთ.

ბატონო დამფუძნებლებო, როდესაც პრესიდან თქვენი ფონდის არსებობის შესახებ შევიტყვეთ, გადავწყვიტეთ თქვენს ცენტრალურ ოფისში, სანდრო ეულის ქ. №1-ში გწვეოდით, მაგრამ ეს ვერ მოვახერხეთ სამი მიზეზის გამო:

1. ეს ოფისი ცოტა გვეშორა, ვაჟა ფშაველას ბოლოში ამოსვლა ცოტა არ იყოს დაგვეზარა.

2. ფონდის დამფუძნებელთა შორის ჩვენი სიზოგადოებისათვის იმდენი ცნობილი და ავტორიტეტული პირის სახელი და გვარი ამოვიკითხეთ, რომ ჩაუცმელ-დაუხურავთ (ამაში კი ნამდვილად გადავჭარბეთ გენიოს ვაჟა ფშაველას) მოგვერიდა თქვენთან პირისპირ გამოცხადება.

3. ამ მომართვის გამოქვეყნებთ შეიძლება დროც დავზოგოთ და რედაქტორმა მცირეოდენი პონორარიც გამოგვიწეროს...

ასე რომ, პატარა ბიზნესის გზას დავადექით...

ჩვენი მომართვის მიზანი კი ასეთი გახლავთ. პატივცემულო „ქართული კაპიტალის" დამფუძნებლებო, თქვენ ბრძანდებით ის ადამიანები, რომელთაც სახელმწიფო პოსტებზე მუშაობის ჟამს სახელის მოხვეჭა არჩიეთ ყველა მოსახვეჭელის შემეხს. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ სწორედ თქვენ გამოგიცხადოთ ნდობა და ჩვენს ხელთ არსებული პირადი ვაუჩერები ჩავბაროთ სწორედ თქვენს ფონდს.

თავის დროზე ნიკოლოზ მიწიშვილი წერდა: ან ჩამრიცხე შენს მონათა სიაში, ან მივიღებ რჯულს სამაჰმადიანოსო.

ან ჩაგვრიცხეთ თქვენს მევაუჩერეთა სიაში, ან დავადგებით ჩვენც გზას სამამაძაღლოს, რომელზეც ახლა მთელი თუ არა, ნახევარი საქართველო მაინც დგას.

თუ გამდიდრდება თქვენი ფონდი, ბატონო დამფუძნებლებო, ხომ კარგი, ჩვენც გაგამდიდრეთ, ამ თახსირ დროში ჩვენც გვაშოვნინეთ ორიოდ გროში, თუ არა და, ჯანდაბას თითო-ოროლა ვაუჩერია ბევრ კაცებთან მაინც გვექნება ურთიერთობა.

ჩვენს სიას ვტოვებთ გაზეთის რედაქციაში.

მიმართვას ხელს აწერს 17 ახალგაზრდა მწერალი

არც რა მიშველა ტირილმა,

არცა ცრემლების დენამა,

მიშველა ისევ სიცილმა,

ლაქარდიანმა ენამა.

მეწაღე — გიმნაზიელი

დიდი წარმატებით სარგებლობდა სოხუმში შალვა დადიანის „ნაპერწკლიდან“, სერგო ჭელიძის დადგმით.

ცაბუს როლს ბრწყინვალედ ასრულებდა სალომე ყანჩელი. მსახიობს ძალიან უყვარდა თავისი როლი და მუდამ საზეიმო მღელვარებით ასრულებდა მას.

ერთ-ერთ სპექტაკლზე, ზიკოვების ოჯახის სცენის დროს, ანუ მეორე მოქმედებაში, სალომე შევიდა სცენაზე და... რას ხედავს: ზიკოვების ვაჟიშვილის — სერიოჟას როლის შემსრულებელი მსახიობის მაგიერ სცენაზე დგას თეატრის მეწაღე აშოტა.

სალომე საშინლად დაიბნა, ის იყო სცენიდან გასვლა დააპირა, რომ აშკარად გაიგონა მეწაღის აკანკალებული ხმა:

— ცაბუ!

სალომე შემობრუნდა. გაკვირვებით შეათვალიერა აშოტა. ნამდვილად ის არის, გიმნაზიელის კოსტუმში გამოწყობილი მეწაღე, და თუმცა პროტექტორების მიღმა სავსე დარბაზის მაჯისცემას გრძნობდა, მეჩვენებაო, გაიფიქრა და ისევ გამობრუნდა, მაგრამ ერთი ამას დამიხედეთ, აშოტამ გიმნაზიელის ტექსტით არ დაიწყო ლაპარაკი? მართალია, ხმა უთრთოდა, ენაც ებმოდა, მაგრამ... ოღონდაც!

გაოგნებული სალომე მექანიკურად შეეპასუხა, არც წერტილი... აღარც მძიმე... გონებაში მხოლოდ მოხრილი კითხვის ნიშნები დაფრინავდნენ: საიდან? როგორ? რა მოხდა?

როგორც იქნა დაეშვა ფარდა.

ანტრაქტის დროს ასეთ სურათს შევესწარით: ტახტზე გადაწოლილ, ნახევრად ღონემიხდილ სალომესთან თავჩაქინდრული იდგა წარმოდგენის წამყვანი და შეწუხებული ბოდიშობდა:

— მაშ რა უნდა მექნა? პირველი ზარი უკვე მიცემული იყო, როცა გამოირკვა, რომ გელა რევაზიშვილმა ფეხი იღრძო და თამაშს ვერ შესძლებდა, კიდევ კარგი ვიღაცას გაახსენდა, რომ ამ თხუთმეტი წლის წინათ ჩვენი მეწაღე აშოტა მსახიობობდა და სწორედ სერიოჟა ზიკოვის როლს თამაშობდა, რა უნდა მექნა? სასწრაფოდ მოვძებნეთ აშოტა, ჩავაცვეთ და თქვენი გაფრთხილება სულ დამავიწყდა, რა უნდა მექნა? დარბაზი გაჭედილია, მსახიობი არ არის... — თავი იმართლა წამყვანმა.



აბა, რომელ მსახიობს არ უნდა მთავარი გმირის როლი ითამაშოს? მეც მინდა, მაგრამ... ასე არ არიგებენ ასეთ როლებს და ვარ ჩემთვის, მდგომარეობას შერიგებული...

არა, მეც მაქვს როლები, რომლებიც მიყვარს, მიყვარს როგორც დედას თავისი შვილები (ძალიან გაცვეთილი შედარებაა, მაგრამ ჩემს განწყობილებას ზუსტად გამოხატავს).

ერთ ზაფხულს სტუმრები მეწვივნენ მოსკოვიდან, ქართული იმათ არ იცოდნენ და თეატრალურ ცხოვრებაზე მხოლოდ ჩემს ინფორმაციას ჯერდებოდნენ.

მაგალითად, მათ იცოდნენ, რომ ამ საღამოს იმიტომ ვტოვებ საპატიო სტუმრებს, რომ ოფელიას როლს ვთამაშობ, მეორეჯერ ისევ მოვუბოდიშე და წავედი ივდითის როლის სათამაშოდ, მესამე შემთხვევაში სტუმრები შუშანიკის გამო მივატოვე და როცა წარმოდგენიდან ვბრუნდებოდი, მათ მოწიწებას ვგრძნობდი ჩემს მიმართ და ეს დიდად მსიამოვნებდა.

მახსოვს, მხოლოდ ერთხელ გამოსთქვეს გაოცება, როცა ბოდიში მოვუხადე და ვიოლეტას როლის შესასრულებლად წავედი. ამ ამბავმა ჩემი ავტორიტეტი მათ თვალში კიდეც უფრო აამაღლა. განსაკუთრებით გაიოცეს ვიოლეტას ამბავი.

იმავე ზამთარს მოსკოვს ვეწვიე და ახლა მე გავხდი მათი სტუმარი. მასპინძლებისაგან დიდად პატივცემული ვიყავი. მეგობრებსაც კი იწვევდნენ საღამოობით და ჩემს თავს სიამაყით წარუდგენდნენ, როგორც „დიდ“ ქართველ მსახიობს, წამყვანი როლების შემსრულებელს, ცოტა გადამეტებას ვგრძნობდი, მაგრამ ქება რომელ მსახიობს მოწყენია?

ასე, დიდხანს მჯეროდა, რომ ჩემი მოსკოველი მეგობრები ნამდვილად თეატრალი ხალხი იყო, იცოდნენ ტალანტის ფასი და მეც ერთგულად ვმეგობრობდი მათ, მქონდა გულითადი მიწერ-მოწერა.

ყველაფერს აქვს დასასრული და ისევე, როგორც სცენაზე, აქაც გაიხსნა კვანძი: ერთ დღეს მოსკოვიდან წერილი მომივიდა. წერილი, მაგრამ რა წერილი... ვერ გავიგე, რით განვარისხე ჩემი მეგობრები? მწერდნენ ჩვენ ისე გალმერთებდით და რა საჭირო იყო ამდენი ტყუილებიო? ამ ზამთარს თბილისში იყვნენ ის ცოლ-ქმარი, ჩვენს ოჯახში რომ გაიცანით, სიამოვნებით იყიდეს ოპერა „ტრავიატას“ ბილეთები, უნდოდათ თქვენი ნახვა, მაგრამ ვიოლეტას პარტიას იქ სულ სხვა ვინმე მღეროდაო! წერილი გავაგრძელე და გამოირკვა, რომ „ურიელ აკოსტაც“ უნახავთ და ივდითის როლს ბრწყინვალე მსახიობი თამაშობდა, მაგრამ თქვენ დუბლიორებშიც არსად ეწერეთო, „ჰამლეტიც“ უნახავთ ჩემი კვალის ძიებაში და არც იქ ჩანდითო, შუშანიკმაც ასევე გაუმტყუნა მათ იმედი. ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ თქვენ სულაც არ ხართ მსახიობი და გვარიც მოგონილი გაქვთო, როგორ შეგვარცხვინეთ, როგორ იკადრეთ ამდენი ტყუილიო?

გაოგნებული ვიდექი და ვფიქრობდი, ახლა მივხვდი, რად იყვნენ ასე გაოცებულნი, როცა ვიოლეტას როლი ვახსენე. მათ თურმე ვერდის ოპერა „ტრავიატას“ ვიოლეტა ეგონათ! მე კი ნამდვილად ვთამაშობ ვიოლეტას როლს ლევან სანიკიძის „ქუთათურებში“. ოფელიასაც ვთამაშობ, ღმერთმანი, არ მიცრუია, მხოლოდ ვთამაშობ ვიქტორ როზოვის კომედიაში „ვახშმის წინ“, ოტია იოსელიანის პიესაში „ადამიანი იბადება ერთხელ“ ივდითი მე არა ვარ? დაგვრჩა შუშანიკის როლი, რომელსაც ვთამაშობ გაბრიელ სუნდუკიანცის „პეპოში“, პეპოს დედა შუშანიკი მაშ ვინ არის? რას მერჩის ეს ხალხი, რა შუაშია აქ ტყუილები?

მე რა ვქნა, თუ ასეთი რეპერტუარი მაქვს. ყველას უნდა, ბატონო, „ჰამლეტის“ ოფელია, „ურიელ აკოსტას“ — ივდითი, „ტრავიატას“ ვიოლეტა და სარწმუნოებისათვის წამებული დედოფალი შუშანიკი ითამაშოს. მეც მინდა, რომ ასე იყოს, რომ მეგობრები ჩემით ამაყობდნენ, მეც მინდა, მაგრამ რა ვქნა, თუ სულ სხვა ოფელია, ივდითი, სხვა ვიოლეტა და შუშანიკი ვარ? ამიტომ უნდა დავკარგო პატივისცემა და მეგობრები? ტყუილად მივიჩნევდი მათ დიდ თეატრალებად, არ სცოდნიათ, რომ არსებობს სხვა როლებიც, რომელთაც ნიჭიერება და მაღალი პროფესიონალიზმი სჭირდება!

აკი არ არსებობს დიდი და პატარა როლიო?

როგორ არ არსებობს, დიდი როლი განგადიდებს, პატარამ კი ხედავთ, რა მიყო?



ოფელია... ივდითი... შუშანიკი... ვიოლეტა...

ГУТОШВИЛИ - ЮМОРИСТ

КУРИОЗЫ

САКАРТВЕЛОС ДАМСАХУРЕБУЛИ АРТИСТИ ЕЛЕНЕ САЯВАРЕЛИДЗЕ

ХЕР ХОП!

ЕРТ დამეს, საარბრიუკენის პატარა სასტუმრო „კრისტინაში“ დიდი ამბავი დატრიალდა: ანსამბლ „რუსთაველის“ ერთ-ერთი მოცეკვავე ოდნავ შეზარხოშებული ყოფილა და ფანჯრიდან ისე გადაწეულა, კიდეც გადავარდნილა. ნუ შეშინდებით: ეს ამბავი პირველ სართულზე მოხდა, თუმცა ფანჯრის წინ, სარდაფში სინათლის ჩასასვლელად გამჭვირვალე შუშის იატაკი რომ ეგო, ის ჩატეხილა და მოცეკვავე სარდაფში ჩავარდნილა. ეს ამბავი რომ გავიგეთ, საარბრიუკენის ქართველობა ფეხზე დავდექით, მაგრამ მოცეკვავე ვერაფრით ვერ ამოვიყვანეთ იქიდან. გავვარდით მორიგესთან, ენის უცოდინარობა რომ ცუდია, ამას რაღა მტკიცება უნდა, მაგრამ ღირსებაც ჰქონია თურმე, იგი ანვითარებს მიმიკა-ჟესტიკულაციას და ჩვენი პროფესიის ადამიანებისათვის ეს საჭიროა.

ყველა ერთად რომ ავლაპარაკდით, მორიგემ გაკვირვებით შემოგვხედა.

— კაცი... კ-ა-ც-ი... ჩავარდა! თან ჩავარდნის მიმნიშნებელ ჟესტებს ეიშველიებთ. ამდენი ხალხი რომ ერთათ ავლაპარაკდით, მორიგე შეშინდა, მაგრამ ვერ შეეატყვეთ რომ რაიმე გაეგო.

— კაცი... კაცი... ჰერ (როგორც იქნა გავიხსენეთ კაცის სახელი), ჰერ ჩავარდა... (ვერ გავაგებინეთ)... ჰერ... ბახ!.. ხმამაღლა ვიყვირე და მორიგემ — „ბახ“ რომ გაიგონა, ალბათ იფიქრა, მესვრიანო და ცრემლები მოადგა.

ჰერ... ჰოპ! უკეთესი სიტყვა მოძებნა დათო უფლისაშვილმა „ბახის“ მაგიერ, შემდეგ თარგმანი ეცოტავა, სკამზე შედგა და იქიდან ისკუპა „ჰოპის“ საილუსტრაციოდ! შენც არ მომიკვდე, რეტდასხმულ მორიგეს ვერაფერი შეეკამინეთ. სხვა გზა აღარ იყო, მოკიდეთ ხელი და მისი დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ფაქტის საჩვენებლად გავაქანეთ, იგი გზაში რაღაცას გვეედრებოდა, მაგრამ ვინ ისმინა, ფანჯარაშიც ძალით გავაყოფინეთ თავი. სარდაფში შუშების ნამსხვრევები და გაფითრებული მოცეკვავე რომ დაინახა, მაშინვე მიხვდა, რას ნიშნავდა „ჰოპ“ და „ბახ“ და ამ აღმოჩენით ისე გაიხარა, თითქოს საგანძური ეპოვნოს.

—ფერშტეინ? — გურულად მოუქცია გიგოლა თალაკვაძემ.

—ია... ია... აინ მომენტ... — თქვა და გაბადრული სახით გაიქცა ტელეფონისაკენ სასწრაფო დახმარების გამოსაძახებლად. მოცეკვავე კიბით ამოიყვანეს, რადგან სარდაფის კარები დიდი ხსნის გაუქმებული ყოფილა.

ექიმებმა ყურადღებით შეამოწმეს და ცეკვას შეძლებსო, დაგვამშვიდეს. ვაშაა! რაც მთავარია, ფეხი არ მოტეხია, თავზე რომ პატარა ნაკერი დაადეს, ეს არაფერი!

— აგაშენა ღმერთმა, მთავარი ფეხია, თორემ მოცეკვავის თავი ვის სჭირდება? — ქირქილობდა მისთვის გიგოლა. ყველაზე ბედნიერი კი ის მორიგე იყო, რომ გადაგვირჩა!

ჰ ო რ ო ს კ ო პ ი

4-დან 17 აპრილამდე არასასურველი დღეებია. მოსალოდნელია ჯანმრთელობის გაუარესება და დეპრესიები. ნუ გაგაკვირვებთ ჩვენი რჩევა. იმღერეთ, იმღერეთ ხმამაღლა და თქვენ თავს უკეთ იგრძნობთ.

ვერძი
21.03 — 20.04

დახარჯეთ ენერგია, რომელიც დაგიგროვდათ. იყავით აქტიურნი და საწადელს მიაღწევთ. ელოდეთ დიდი ხნის უნახავი მეგობრის გამოჩენას. ამ შეხვედრამ შეიძლება თქვენი სამომავლო გეგმები შეცვალოს.

კურო
21.04 — 20.05

მნიშვნელოვან მოვლენებს ამ კვირაში ნუ ელით. პირად პრობლემებს ადვილად მოაგვარებთ, თუ ჭირვეულობას არ დაიწყებთ. მოერიდეთ ღამით მგზავრობას და ყურადღება მიაქციეთ სისხლძარღვებს.

ტყუპები
21.05 — 20.06

განწყობა, რომელიც წინა კვირას გქონდათ, ამ კვირაშიც გამოგყვებათ. გაგახსენდებათ რაღაც ძალიან შორეული და რომანტიზმისკენ გაგიწევთ გული. თუმცა, გირჩევთ გრძნობები დაიოკოთ და საქმეს მიხედოთ, ამ კვირაში გიჩნდებათ შანსი მატერიალური მხარე მოიწესრიგოთ.

კირჩხიბი
21.06 — 20.07

გაფრთხილდით, ეს კვირა თქვენი კვირაა და ნუ გაუშვებთ შანსს (ბედნიერებასაც) ხელიდან, თორემ თითზე კბენა მოგიწევთ. მიიღებთ საქმიან წინადადებას. გირჩევთ დათანხმდეთ. საერთოდ ამ კვირის განმავლობაში იყავით უფრო დამთმობი და თქვენ მოიგებთ.

ლომი
21.07 — 21.08

თქვენ წარმოიდგინეთ, ამ კვირაში ძალიან დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. გირჩევთ სრულად დასტკბეთ ცხოვრების სიამოვნებით და ნუ იფიქრებთ ხვალინდელ დღეზე. ოღონდ არ გადაამლაშოთ.

ქალწული
22.08 — 22.09

მოსალოდნელია კონფლიქტი ოჯახის წევრებთან, შეიძლება უნებლიე წყენაც მოგაყენონ მოთმინებით აღიჭურვეთ და ყველაფერი თავისით მოწესრიგდება. პარასკევს მცირე დღე გექნებათ. შეიძლება თავის ტკივილებმა შეგაწუხონ.

სასწორი
23.09 — 23.10

საქმიანი და დაძაბული კვირა გექნებათ. მოუწყეთ საკუთარ თავს დღესასწაული, წადით სადმე ან დივანზე წამოწოლილმა გულიანად გამოიძინეთ, თორემ ენერგია აღარ გეყოფათ. მოსალოდნელია საჩუქრის მიღება.

ღრიანკალი
24.10 — 22.11

არც ისესხოთ და არც გაასესხოთ. საერთოდ, ამ კვირაში ფულთან დაკავშირებულ ყოველგვარ საკითხს მოერიდეთ. სამაგიეროდ, თუ სტუმრად დაგპატიჟებენ, მიწვევა აუცილებლად მიიღეთ. მოსალოდნელია ახალი სასიამოვნო ნაცნობობა.

მშვილდოსანი
23.11 — 20.12

გირჩევთ ამ კვირის განმავლობაში საკუთარი შეხედულებებით იმოქმედოთ და სხვის ჭკუაზე ნუ ივლით. მოსალოდნელია ფინანსური პრობლემების ნაწილობრივ მოგვარება. ტელეფონის ზარი ხუთშაბათ საღამოს არც თუ ისე კარგ გუნებაზე დაგაყენებთ.

თხის რქა
21.12 — 19.01

სასიამოვნო ინფორმაცია მთელი კვირის განმავლობაში კარგ განწყობას შეგინარჩუნებთ. ძალიან ნუ იაქტიურებთ და სხვის საქმეში ცხვირს ნუ ჩაყოფთ. გაფრთხილდით, შეიძლება რაიმე თქვენთვის ძვირფასი ნივთი დაკარგოთ.

მერწყული
20.01 — 18.02

კვირის პირველი ნახევარი საქმიანი და დაკავებული გექნებათ. სამაგიეროთ გირჩევთ დასვენების დღეები ბუნების წიაღში გაატაროთ. შესაძლოა კონფლიქტი სამსახურში.

თევზები
19.02 — 20.03

თქვენი პირადი გრძნობები დაუგეგმავ პრობლემებს გაგიჩენთ. თუმც საგანგაშო არაფერი იქნება. დამშვიდდით და რჩევა მეგობრებს ჰკითხეთ. ფინანსური მხარე კვლავ თავსატეხს გაგიჩენთ.

სამყარო, რომელიც ლუბა ბრეჟნევამ დატოვა

„1965 წლის ერთ ღამეს საკუთარ სახლში გამეღვიძა, მირტყავდნენ სახეში და თირკმელებში. მოგვიანებით გავიგე, რომ იმ საღამოს ბავშვი დავკარგე“ — ასე იხსენებს თავისი ცხოვრების 22-ე წელიწადს ლუბა ბრეჟნევი, რომლის ბიძას ესოდენ მაღალი თანამდებობა ეკავა ჩვენს ქვეყანაში.

უბრალო სტუდენტს, რომელსაც სულაც არ აინტერესებდა პოლიტიკა, სდევნიდა სუკ-ი უცხოელთან სასიყვარულო კავშირისათვის. თავისი მოგონებები ლუბამ ნაღვლიანად დაასათაურა „სამყარო, რომელიც დავტოვე. წარსულის ნამსხვრევები“. ეს წიგნი მართლაც მეტად ნაღვლიანია, რუსეთში ხელისუფლებასთან სიახლოვეს არ მოაქვს არც ბედნიერება და არც მოსვენება. ლუბას მამა, ბრეჟნევის ძმამ მთელი ცხოვრება სმაში გაატარა და ბოლოს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აღმოჩნდა.

ლუბა ბრეჟნევა გაიზარდა პატარა პროვინციულ ქალაქში. მშობლები დაშორდნენ, როდესაც იგი ჯერ სულ პატარა იყო. 1964 წელს ლუბა გაემგზავრა მოსკოვში მამის მოსანახულებლად. აქ ის დაასახლეს სასტუმრო „მოსკოვის“ ბრწყინვალე ნომერში. მამა გვერდიდან არ იცილებდა შვილს.

ასე დაიწყო გოგონამ ელიტის ცხოვრების გაცნობა. აგარაკზე ბარვიხში ის შეხვდა ეკატერინე ბურცევას, რომელიც მაშინ კულტურის მინისტრი იყო — მინისტრი სკამზე იჯდა და კონიაკს სვამდა. თავდაცვის მინისტრი როდიონ მალინოვსკი ლუბამ გაიცნო მაშინ, როდეს იგი ნასვამ მდგომარეობაში აუზში ხტებოდა — აქ ყველა ბანაობენ მისი მთვრალი მეგობრები. ასეთი იყო ცხოვრება კულისებში.

უსაზღვროდ კორუმპირებულმა და უაზრო ცხოვრებამ მამამისი მიიყვანა ფსიქიატრიულ საავადმყოფომდე.

რაც შეეხება ბიძასთან დამოკიდებულებას, ლუბას ეზიზღებოდა მისი პოლიტიკა და მისი სისტემა. მაგრამ როგორც ადამიანი, უყვარდა. თვითონ შეიძლება ვერც ხვდებოდა, რომ ძმისა და ძმისშვილის ცინიზმს საბჭოთა ხალხის უმრავლესობა იზიარებდა.

ლუბას აზრით, მისი ბიძა მთელი ცხოვრება იძულებული იყო შეეწირა ძალაუფლებისკენ ლტოლვისთვის. მის ცხოვრებაში იყო ნამდვილი სიყვარულიც, რომელიც პოლიტიკურ კარიერას შეეწირა. ამის დავიწყება ვერა და ვერ შესძლო. ხარბი ცოლი და შვილები მუდამ ნერვებს უშლიდნენ. ბოლო წლებში ბრეჟნევს ეჩვენებოდა, რომ ყველა მხოლოდ მის სიკვდილს ელოდა. ეს ასე არ იყო უბრალოდ იმიტომ, რომ უამრავი ახლობელი დაკარგავდა მის სიკვდილთან ერთად პრივილეგირებულ მდგომარეობას.

მაგრამ მიუხედავად მატერიალური უზრუნველყოფისა, ბრეჟნევთან დაახლოებული პირების ცხოვრება ბედნიერი არ იყო. ლუბამ ვერ შეძლო ამ ცხოვრებით ეცხოვრა და 1990 წელს გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მოკლეს ჟურნალისტი

მოვიდა შეტყობინება დუშანბედან — იქ მოკლეს რუსეთის საზოგადოებრივი ტელევიზიის საკუთარი კორესპონდენტი, 28 წლის ვიქტორ ნიკულინი. იმ დღეს ის ტაჯიკეთში აკრედიტირებულ სხვა ჟურნალისტებთან ერთად იმყოფებოდა რუსეთის დუმის დეპუტატებისა და ტაჯიკეთის პრეზიდენტის შეხვედრაზე.

მას ორჯერ ესროლეს თავის არეში, როცა კორესპონდენტო პუნქტში მასალას ამონტაჟებდა. დანაშაული შეფასდა ცალსახად — ტერორისტული აქტი. გაძარცვის ვერსია გამორიცხულია, რადგან პირადი ნივთები ხელშეუხებია.

გამორიცხული არ არის, რომ მკვლელობა სპეციალურად არის ჩადენილი ტაჯიკეთში დუმის წარმომადგენლების ვიზიტის დროს. რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ

გამორიცხული არ არის, რომ მკვლელობა სპეციალურად არის ჩადენილი ტაჯიკეთში დუმის წარმომადგენლების ვიზიტის დროს. რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ

განაცხადა, რომ მომხდარი ფასდება, როგორც ქვეყნის სტაბილიზაციის წინააღმდეგ მიმართული.

ტაჯიკეთის სამართალდამცავი ორგანოები ყველა ძალას ხმარობენ ჟურნალისტების უსაფრთხოებისათვის. სამწუხაროდ, ეს ღონისძიება უშედეგოდ რჩება. ვიქტორ ნიკულინი ტაჯიკეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს დაღუპულ ჟურნალისტებს შორის რიცხვით ოცდამეცხრეა.

კროსვორდი



თარაზულად: 8. თვითნება ადამიანი, რომელიც სხვებს აიძულებს თავის ნებაზე იქცეოდნენ, ტირანი, მტარვალი; 9. რაიმე ზემოქმედების საპასუხო მოქმედება; 10. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი; 11. ვისიმე ან რისამე ერთგვარი კონტურული გამოსახულება; 12. გადაჭარბებული თავმოყვარეობა, პატივმოყვარეობა; 15. მუშაობის ან ენერგიის საზომი ერთეული; 17. წერილობითი კოლექტიური თხოვნა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისადმი; 18. საეკლესიო მსახური, რომელსაც მონასტერში ასკეტური ცხოვრების აღთქმა აქვს დადებული; 19. შესაძლებლობა, მოხერხება, სიმარჯვე; 20. წარწერა კინოფილმის კადრზე; 23. დანიელი ფიზიკოსი, ატომის კვანტური თეორიის შემქმნელი; 24. ელექტრონული მანქანის უძრავი ნაწილი, რომლის შიგნითაც ბრუნავს როტორი; 26. ნორვეგიის დედაქალაქი; 29. მაკლერის გასამრჯელო; 31. ჯარის საუკეთესო, რჩეული ნაწილი; 32. კანადელი პროფესიონალი ჰოკეისტი; 33. ორგანიზმის უჯრედების სისტემა; 34. ისტორიული მოვლენის ქრონოლოგიური ჩანაწერი.

შვეულად: 1. სპექტაკლის, კინოფილმის დამდგმელი; 2. ლითონის ფულის ნიშანი; 3. ამერიკელი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 4. ძაბრისებური ჩაღრმავება ვულკანის თავზე, საიდანაც ამოინთხევა ლავა; 5. ერთხმიანი ვოკალური ნაწარმოები; 6. ქვეყანა ცენტრალურ აფრიკაში; 7. ორკესტრის ხელმძღვანელი; 13. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი; 14. რადიოს ან ტელევიზიის მუშაკი, რომელიც მიკროფონთან კითხულობს ტექსტს; 16. უდიდესი მდინარე ჩინეთში; 18. საფრანგეთის მნიშვნელოვანი ნავსადგური; 21. შეჯიბრება, რომლის მიზანია გამოავლინოს საუკეთესო მონაწილე; 22. კინოს სახელწოდება 1920-იან წლებამდე; 25. დიდი წარმატება, ბრწყინვალე გამარჯვება; 27. რუსეთის 1995 წლის ჩემპიონი ფეხბურთში; 28. რაიმე ენერგიის უმცირესი რაოდენობა; 30. გამოჩენილი ქართველი პოეტის, მწერალის სახელი; 31. მცურავი სატრანსპორტო საშუალება

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუშკინის ქ. 5

ფასი: 50 თეთრი

ტელეფონები:
93-20-36, 93-18-41